

**საქართველოს კანონი**

**სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა  
დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 25.05.2012, სარეგისტრაციო კოდი: 240110000.05.001.016709) შეტანილ იქნეს ცვლილება და კოდექსის:

**1. პირველი მუხლის:**

**ა) პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ამ კოდექსის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.

2. ეს კოდექსი ვრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე პირველად წარმოებაზე, ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ვეტერინარულ პრეპარატებზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე. ასევე, გარემოს დაცვაზე ამ კოდექსის მიზნიდან გამომდინარე.“

**ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„4. ეს კოდექსი არეგულირებს და განსაზღვრავს:**

ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების სახელმწიფო კონტროლის სახეებს;

გ) სურსათის/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

დ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციებს;

- ე) ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს;
- ვ) ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა დაცვის, მცენარეთა სიჯანსაღის ძირითად მოთხოვნებსა და პირობებს;
- ზ) საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ და მცენარეთა კარანტინს;
- თ) სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტის მოთხოვნებს;
- ი) ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობებს.“

## 2. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსის მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

**ა) სურსათი** – ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი პროდუქტი. სურსათი ასევე მოიცავს ყველა სახის სასმელს (მათ შორის, სასმელ წყალს), საღებავ რეზინსა და სურსათში გამოსაყენებელ ნებისმიერ ნივთიერებას (წყლის ჩათვლით), რომელიც გამოიყენება სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს ცხოველის საკვებს, ცოცხალ ცხოველებს, გარდა იმ ცხოველებისა, რომლებიც გამზადებულია ბაზარზე განსათავსებლად ადამიანის მოხმარების მიზნით, მცენარეებს (მოსავლის აღებამდე), სამკურნალო და ჰომეოპათურ საშუალებებს, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ საშუალებებსა და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს;

**ბ) პირველადი წარმოება** – პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას, მოსავლის აღებს, ნაყოფის კრეფის ჩათვლით, ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას;

**გ) ვეტერინარია (ვეტერინარული მედიცინა)** – საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ცხოველის, მათ შორის შინაური ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობას, უვნებელი ცხოველური პროდუქტის წარმოებას, მოსახლეობის დაცვას ზოონოზური დაავადებებისაგან და ქვეყნის ტერიტორიის ვეტერინარულ კეთილსაიმედოობას;

**დ) ბიოწარმოება** – მეურნეობის მართვის ერთიანი სისტემა წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების და ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და შეესაბამება ბიოწარმოების წესებით დადგენილ მოთხოვნებს წარმოების, გადამუშავების, შენახვის, შეფუთვის, ტრანსპორტირების, ეტიკეტირების/ნიშნადების, დისტრიბუციისა და რეალიზაციის ყველა ეტაპზე და ეს შესაბამისობა დადასტურებულია შესაბამისობის სერტიფიკატით;

**ე) გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი** - ნებისმიერი ორგანიზმი,

ადამიანის გარდა, რომლის გენეტიკური მასალა შეცვლილია თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდების გამოყენებით. ეს მეთოდები არ განეკუთვნებიან ტრადიციულ სელექციურ და ჯიშთა გამოყვანის მეთოდებს;

**ვ) პირველადი პროდუქტი** - ადამიანის ან ცხოველის საკვებად განკუთვნილი პროდუქტი, რომელიც მიღებულია პირველადი წარმოებიდან გადამუშავებამდე, მათ შორის ნადაგიდან, ცხოველის მოშენების, ნადირობის ან თევზჭერის შედეგად;

**ზ) ცხოველის საკვები** - ცხოველის საკვებად გამოსაყენებელი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი ნივთიერება ან პროდუქტი, საკვებდანამატის ჩათვლით;

**თ) ცხოველური პროდუქტი** - ცხოველური წარმოშობის სურსათი, ასევე ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი;

**ი) მცენარეული პროდუქტი** - მცენარეული წარმოშობის სურსათი, ასევე, მცენარეული წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი, რომელიც თავისი ბუნებიდან ან გადამუშავების თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლოა ქმნის მავნე ორგანიზმების გაჩენისა და გავრცელების რისკს;

**კ) ცხოველი** - ნებისმიერი ხერხემლიანი და უხერხემლო ცხოველი (ყველა სახის ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი, წყალხმელეთა ძუძუმწოვარი, ამფიბია, კიბოსნაირი, მოლუსკი, საინჟუბაციო კვერცხი, განაყოფიერებული ქვირითი.);

**ლ) შინაური ბინადარი ცხოველი** - ნებისმიერი სახეობის ცხოველი, რომელიც ექვემდებრება ადამიანის მიერ მოვლას და არ ხდება მისი გამოყენება სურსათის (მათ შორის ხორცი, რძე და კვერცხი), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის წარმოებისათვის;

**მ) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია** - ცხოველისა ან/და ცხოველთა ჯგუფისათვის ინდივიდუალური საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება, ნიშანდება და ერთიან რეესტრში შეტანა;

**ნ) ცხოველთა კეთილდღეობა** - ცხოველის მოვლა-შენახვის და ბუნებრივი ქცევისათვის საჭირო პირობების შექმნა, რომელიც ასევე მოიცავს საკვებზე და წყალზე წვდომას, დაავადების, ტკივილის, შიშისა და სტრესისაგან დაცვას;

**ო) მცენარე** - ცოცხალი მცენარეები და მათი ნაწილები, თესლისა და გენეტიკური მასალის ჩათვლით;

**პ) სახელმწიფო კონტროლი** - უფლებამოსილი პირის ქმედება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

**ჟ) კომპეტენტური ორგანო** - სახელმწიფო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი;

**რ) მაკონტროლებელი ორგანო** - დამოუკიდებელი მესამე მხარე, რომელსაც კომპეტენტური ორგანოს მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულება;

ს) უფლებამოსილი პირი – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი პირი, რომელსაც უფლებამოსილებას ანიჭებს კომპეტენტური ორგანო;

ტ) გადამუშავება - ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს, მათ შორის, გაცხელება, შეზოლვა, გახმობა, დამწიფება, გამოშრობა, დამარილება, გაწურვა, ექსტრაქცია, ექსტრუზია ან ამ პროცესთა ნებისმიერი კომბინაცია;

უ) გადაუმუშავებელი სურსათი/ცხოველის საკვები – პროდუქტი, რომელსაც არ გაუვლია გადამუშავება და რომელიც დაიკლა, გატყავდა, დანაწილდა, დაიჩეხა, დანაწევრდა, დაიჭრა ნაჭრებად, გამოეცალა ძვლები, დაიფქვა, დაქუცმაცდა, გაიწმინდა, მოიჭრა, მოსცილდა ხაოიანი ნაწილი, გაიფცქნა, გაცივდა, გაიყინა, სწრაფად გაიყინა ან გალღვა;

ფ) გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები – პროდუქტი, რომელიც მიიღება გადამუშავებელი სურსათის/ცხოველის საკვების გადამუშავების შედეგად. გადამუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები შეიძლება შეიცავდეს ინგრედიენტებს, რომლებიც აუცილებელია მის საწარმოებლად ან მისთვის სპეციფიკური თვისებების მისანიჭებლად;

ქ) საკვებდანამატი – ნივთიერება, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არ გამოიყენება სურსათად/ცხოველის საკვებად, მაგრამ ემატება სურსათს/ცხოველის საკვებს წარმოების, გადამუშავების, შეფუთვის და შენახვის დროს, რის შედეგადაც ეს ნივთიერება ან მისი გარდაქმნის პროდუქტი სურსათის/ცხოველის საკვების ინგრედიენტი ხდება;

ღ) მანე სურსათი/ცხოველის საკვები - სურსათი, ცხოველის საკვები, რომელიც არ შეესაბამება სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს;

ყ) ბიზნესოპერატორი – მეწარმე სუბიექტი ან სხვა იურიდიული პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას (მათ შორის, საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდებას), ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში მომსახურებას, რომელიც პასუხისმგებელია მისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; ბიზნესოპერატორის რეგისტრაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შ) მცირე ბიზნესი – ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 2100 000 ლარს;

ჩ) აღიარება - რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება;

ც) წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპები – პროცესის ყოველი ეტაპი, სურსათის/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, მცენარეული და

**Commented [VK1]:** დღესდღეობით საზოგადოებაში სიტყვა „დისტრიბუცია“ გაგებულია, როგორც მაღაზიამდე მიწოდება და არა მაღაზიის მიერ გაყიდვა. ეს კანონის არასწორ ინტერპრეტაციას იწვევს. პრაქტიკაში არის ასეთი მაგალითები. ასე რომ, სჯობს ეს მცირე განმარტება ჩაემატოს.

**Commented [VK2]:** ვფიქრობთ სჯობს ამის ამ პუნქტშივე ხსენება, ვინაიდან ქვემოთ, ჩ) პუნქტშივეა ნახსენები „რეგისტრირებული ბიზნესოპერატორის საქმიანობის...დადასტურება“.

**Commented [VK3]:** დამატებულია. შემცირდეს 100 000 ლარამდე, საგადასახადო კოდექსის ანალოგიურად.

ცხოველური პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის, იმპორტის, ექსპორტის, პირველადი წარმოების, გადამუშავების, შენახვის, შეგროვების, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდების ჩათვლით;

**მ) ტრადიციული მეთოდი** – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, გადამუშავება ან/და დისტრიბუცია, ასევე პირველადი წარმოება ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული მეთოდების გამოყენებით, ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მეურნეობებისა და სხვა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობების ჩათვლით. ტრადიციული მეთოდებისადმი მიკუთვნების საკითხი რეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

**წ) მაღალმთიანი რეგიონი** – გეოგრაფიული არეალი, რომელიც შეესაბამება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიანი რეგიონის ცნებას;

**ჭ) ოჯახური წარმოება** – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება პირადი მოხმარების მიზნით;

**ხ) ოჯახური წარმოების სუბიექტი** – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან /და პირველად წარმოებას პირადი მოხმარების მიზნით;

**ჯ) მცენარის, მცენარეული პროდუქტის წარმოების ადგილი** - ნაკვეთის ან ნაგებობის ერთეული ან მათი ერთიანობა, რომელიც იმართება ფიტოსანიტარიული მოთხოვნების შესაბამისად;

**ჰ) ბაზარზე განთავსება** – სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, მცენარეული და ცხოველური პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან/და აგროქიმიკატის მიწოდება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, ასევე გადაცემის სხვა ფორმები;

**ჟ) საცალო ვაჭრობის პუნქტი** – ობიექტი, სადაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან/და აგროქიმიკატის მიწოდება საბოლოო მომხმარებლისათვის;

**ჰ) საბოლოო მომხმარებელი** – მომხმარებელი, რომელიც სურსათს/ცხოველის საკვებს, ცხოველს, მცენარეს, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტს, ვეტერინარულ პრეპარატს, პესტიციდს ან/და აგროქიმიკატს სარეალიზაციოდ არ იყენებს;

**ტ) საფრთხე** – სურსათში/ცხოველის საკვებში, ცხოველში ან მცენარეში, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტში ისეთი ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტი ან სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის ან მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის მდგომარეობა, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს, მცენარის სიჯანსაღეს;

**თ) რისკი** – საფრთხიდან გამომდინარე, ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობაზე, მცენარის სიჯანსაღეზე მავნე ზეგავლენის გამოვლენის ალბათობა და სიმძიმე;

**Commented [VK4]:** გაუგებარია, როგორ დგინდება, თუ რომელია ტრადიციული მეთოდი. ამიტომაც ამ საკითხის დასარეგულირებლად ცალკე ნორმატიული აქტის შემუშავებაა საჭირო.

**37) ვეტერინარი ექიმი** - ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

**38) ვეტერინარი ტექნიკოსი** - პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული დიპლომი ან სერტიფიკატი;

**39) მიკვლევადობა** - სურსათის/ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, ცხოველისა და მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის და აგროქიმიკატის [ასევე, მათი ტარისა ან/და შესაფუთი მასალის](#) შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის დადგენის შესაძლებლობა მათი წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

**40) პარტია** - ერთი სახეობისა და დასახელების სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან აგროქიმიკატის იდენტიფიცირებადი რაოდენობა, გამოშვებული ერთი და იმავე ბიზნესოპერატორის მიერ, ერთი და იმავე ცვლის დროს, და გაფორმებული ერთნაირი ეტიკეტით;

**41) ეტიკეტი** - სურსათთან/ცხოველის საკვებთან, მცენარეულ და ცხოველურ პროდუქტთან, ვეტერინარულ პრეპარატთან, პესტიციდთან ან აგროქიმიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, სავაჭრო ნიშანი, დასახელება, ილუსტრაცია ან სიმბოლო, განთავსებული შეფუთვაზე, ან/და მასთან დაკავშირებულ თანდართულ დოკუმენტზე;

**42) შეუსაბამობა** - სურსათის/ ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ბიზნესოპერატორის საქმიანობის შეუსაბამობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;

**43) აკრედიტებული ლაბორატორია** - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც შეტანილია აკრედიტაციის სისტემის სახელმწიფო რეესტრში, ან საერთაშორისო (მათ შორის, სხვა ქვეყნების) აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია;

**44) დაავადება** - ინფექციის კლინიკური ან/და პათოლოგიური გამოვლინება, ასევე სხვადასხვა ზემოქმედების შედეგად ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების (ცხოველმყოფელობის) დარღვევა;

**45) ინფექცია** - ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში პათოგენური აგენტის შეჭრა, ადაპტაცია, გამრავლება და მასპინძელი ორგანიზმის საპასუხო რეაქცია;

**46) დასწებოვნებული კერა** - ზონა, რომელშიც დადასტურებულია გადამდები დაავადების ან მისი აღმძვრელის არსებობა;

**47) ეპიზოოტია** - გადამდები დაავადებით ერთდროულად მრავალი ცხოველის დასწებობა განსაზღვრულ ტერიტორიაზე, დროის გარკვეულ მონაკვეთში;

**48) გადამდები დაავადება** - ცხოველთა ინფექციური ან ინვაზიური დაავადება, რომელიც გადაეცემა დაავადებული ორგანიზმიდან ჯანმრთელ ორგანიზმს;

317) **ზოონოზური დაავადება** – ცხოველთა ისეთი გადამდები დაავადება, რომელიც ბუნებრივად გადაედება ცხოველიდან ადამიანს და პირიქით;

318) **ვეტერინარული კეთილსამედობა** - დაავადებების არარსებობა განსაზღვრულ ტერიტორიაზე;

319) **კრიზისული მდგომარეობა** - ბუნებრივად ან ადამიანის მიერ გამოწვეული მოულოდნელი და სახიფათო მდგომარეობა, რომელიც სერიოზული საფრთხეს უქმნის ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, მცენარის სიჯანსაღეს, ინფრასტრუქტურას, გარემოს და მოთხოვს დროულ რეაგირებას;

320) **ვეტერინარული პრეპარატი** – ფარმაკოლოგიური, იმუნოლოგიური ან მეტაბოლური ეფექტის მქონე ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთიერებათა კომბინაცია, რომელიც გამოიყენება ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკის ან დაავადებათა სიმპტომების აღმოფხვრის, მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, ასევე ცხოველთა სასიცოცხლო და ფიზიოლოგიური ფუნქციების აღდგენის ან/და შეცვლისათვის;

321) **ფიტოსანიტარული სერტიფიკატი** - ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით დადგენილ სერტიფიკატის ფორმას და ადასტურებს, რომ ტვირთი შეესაბამება ფიტოსანიტარულ მოთხოვნებს;

322) **ჰიგიენური (ჯანმრთელობის) სერტიფიკატი** – სურსათის/სურსათთან დაკავშირებული ტარის უვნებლობის ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი

323) **ვეტერინარული სერტიფიკატი** – ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) კოდექსების შესაბამისად, წარმოშობის ქვეყნის ან/და ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, ვეტერინარული კეთილსამედობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

324) **პესტიციდი** – "პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პრეპარატი;

325) **აგროქიმიკატი** – „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სასუქი ან/და ქიმიური მელიორანტი. ეს ტერმინი ამ კოდექსის მიზნებისთვის ვრცელდება ტორფზე, თუ ის გამოიყენება სასუქის სახით სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის;

326) **საკარანტინო ზონა** – გეოგრაფიული არეალი, რომელშიც იყო ან არსებობს დაავადებული ან დაავადებაზე საეჭვო ცხოველი და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, ასევე ზონა, რომელშიც არსებობს საკარანტინო მავნე ორგანიზმი და ხორციელდება სახელმწიფო კონტროლი;

327) **მცენარეთა კარანტინი** - ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საკარანტინო მავნე ორგანიზმების შემოჭრის ან/და გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან მათი სახელმწიფო კონტროლის უზრუნველსაყოფად;

328) **ვეტერინარული კარანტინი** – ღონისძიება ან ღონისძიებათა ერთობლიობა გადამდები დაავადებების გამოვლენის ან/და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

329) **ფიტოსანიტარული ზომა** - პროცედურა, რომელიც გამოიყენება საკარანტინო

Commented [VK5]: უმჯობესია აქვე განმარტოს, ისევე, როგორც ყველა სხვა ტერმინი.

მავენე ორგანიზმების შემოჭრის ან / და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ან არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების მიერ გამოწვეული ეკონომიკური ზიანის შესამცირებლად;

**330) ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტი** – მცენარე, მცენარეული პროდუქტი ან სხვა ორგანიზმი, დასაწყობების ადგილი, შეფუთვა, სატრანსპორტო საშუალება, კონტეინერი, ნიადაგი, ან მასალა, რომელშიც შესაძლებელია მავნე ორგანიზმის არსებობა ან/და რომელიც ხელს უწყობს მის გავრცელებას. რომლის მიმართ აუცილებელია ფიტოსანიტარიული ზომების განხორციელება, განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევაში;

**331) ცხოველთა საკარანტინო დაავადება** – დაავადება, რომელიც ხასიათდება ფართო არეალზე სწრაფი გავრცელებით, ცხოველთა მაღალი ავადობით ან სიკვდილიანობით;

**332) მავნე ორგანიზმი** – მცენარეებისათვის ან მცენარეული პროდუქტებისათვის მავნე მცენარის, ცხოველის ან პათოგენური აგენტის ნებისმიერი სახეობა, სახესხვაობა ან ბიოტიპი. მავნე ორგანიზმი შეიძლება იყოს საკარანტინო ან არასაკარანტინო;

**333) საკარანტინო მავნე ორგანიზმი** – მავნე ორგანიზმი, რომელსაც პოტენციური ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს საფრთხეს დაქვემდებარებული იმ ზონისათვის, რომელშიც ის ჯერ არ არსებობს, ან არსებობს, მაგრამ შეზღუდულადაა გავრცელებული და იმყოფება სახელმწიფო კონტროლის ქვეშ;

**334) არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი** – მავნე ორგანიზმი, რომელიც მოცემული ზონისათვის არ არის საკარანტინო მავნე ორგანიზმი;

**335) ტვირთი** – მცენარის, მცენარეული პროდუქტის, განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც გადაადგილება შესაბამისი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატით. ტვირთი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი პარტიისაგან;

**336) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერება** – „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნივთიერება.

**337) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP – Hazzard Analysis and Critical Control Points) სისტემა** – სისტემა, რომელიც საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მათზე კონტროლის განხორციელებით უზენბელი სურსათის წარმოების შესაძლებლობას იძლევა.

**338) სააგენტო** – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო.“.

**3. მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„ე) ბიზნესოპერატორი** – პირი, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას,



გადამუშავებას, დისტრიბუციას, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში მომსახურებას, რომელიც პასუხისმგებელია მისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე;“.

**Commented [VK6]:** ეს ორჯერ წერია, იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ფორმულირება გულისხმობს ფიზიკურ პირებსაც, პირველი ფორმულირება კი მხოლოდ იურიდიულ პირებს. ფიზიკურ პირებზე კანონის გავრცელების გადავადება გათვალისწინებულია 2020 წლამდე!

#### **4. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

##### **„მუხლი 4. რისკის ანალიზის პრინციპი**

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული ზომები და ქმედებები უნდა ეფუძნებოდეს რისკის ანალიზს.

2. რისკის ანალიზი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს:

- ა) რისკის შეფასება;
- ბ) რისკის კომუნიკაცია;
- გ) რისკის მართვა.

3. რისკის ანალიზთან დაკავშირებული ღონისძიებებია:

ა) შესაძლო საფრთხესთან დაკავშირებით სამეცნიერო დასკვნის წარდგენა, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის საჭიროებისამებრ;

ბ) რისკის შეფასებისა და სახელმწიფო კონტროლის მეთოდოლოგიის შემუშავების ხელშეწყობა და კოორდინირება;

გ) საჭიროებისამებრ სამეცნიერო და ტექნიკური მონაცემების მოკვლევა, შეგროვება, აღრიცხვა და ანალიზი;

დ) ახალი საფრთხეების იდენტიფიცირება და აღწერა საჭიროებისამებრ ;

ე) დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ვ) მეცნიერული და საექსპერტო დახმარება საგანგებო ვითარების დროს ამ კოდექსის 51-ე მუხლის შესაბამისად საგანგებო ზომების მიღებისას;

ზ) რისკის ანალიზთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

#### **5. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

##### **„მუხლი 5. რისკის შეფასება**

1. რისკის შეფასება მოიცავს ოთხ საფეხურს: საფრთხის იდენტიფიცირებას, საფრთხის აღწერა-დახასიათებას, საფრთხის ზეგავლენის შეფასებას და რისკის დახასიათებას.

2. რისკის შეფასება ეფუძნება ხელმისაწვდომ მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებსა და მონაცემებს.

3. რისკის შეფასება ხორციელდება დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ.“.

#### **6. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

##### **„მუხლი 7. რისკის მართვა**

1. რისკის მართვა არის რისკის შეფასებისაგან განსხვავებული პროცესი, რომელიც რისკის შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სათანადო ალტერნატივის შერჩევის საშუალებით, მიზნად ისახავს რისკების პრევენციისა და კონტროლის შესაბამისი ზომების შერჩევას.

2. რისკების შემცირების, აღმოფხვრისა და პრევენციისათვის განხორციელებული ზომები ეფექტიანი, ობიექტური და რისკის პროპორციული უნდა იყოს.“.

## 7. მე-8 მუხლი ამოღებულ იქნას.

## 8. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 9. პრევენციის პრინციპი

1. განსაკუთრებული გარემოების დროს, როდესაც არსებული ინფორმაციის საფუძველზე არსებობს ეჭვი ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასთან ან მცენარის სიჯანსაღესთან დაკავშირებული საფრთხის არსებობის შესახებ, ამასთანავე, დროებით ვერ ხერხდება ამ ინფორმაციის მეცნიერულად დასაბუთება, შესაძლებელია რისკის მართვის დროებითი ზომების განხორციელება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მიღებული ზომები საფრთხის პროპორციული უნდა იყოს და მათი გადახედვა უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში, ადამიანის /ცხოველის ჯანმრთელობასთან და მცენარის სიჯანსაღესთან დაკავშირებული რისკის ბუნებიდან გამომდინარე“.

## 9. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 10. გამჭვირვალობის პრინციპი

1. რისკის შეფასების, მართვის ზომების შემუშავებისა და განხილვის პროცესი არის საჯარო, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. რისკის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ამ რისკის ხასიათიდან, მასშტაბიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, სააგენტო ვალდებულია საზოგადოებას ეფექტიანი გზებითა და საშუალებებით მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობაზე ან მცენარის სიჯანსაღეზე საფრთხის გავლენის და საფრთხის შემცველი ან/და ადამიანის მოხმარებისათვის მიზანშეუწონელი პროდუქტის (კერძოდ, სულ მცირე პროდუქტის სახელწოდების, სავაჭრო ნიშნის, მწარმოებლის ან/და დისტრიბუტორის ზუსტი დასახელების), შესახებ, ასევე იმ ზომების თაობაზე, რომლებიც მიიღება რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად.“.

## 10. კოდექსს დაემატოს მე-10<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

### „მუხლი 10<sup>1</sup>. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა

**Commented [VK7]:** შეიძლება მოხდეს ისეც, რომ ინფორმაცია მიწოდოს მხოლოდ გარკვეულ მედიასაშუალებას, რომელსაც დაბალი რეიტინგი და ნდობა აქვს საზოგადოებაში. თუ მხოლოდ ის ეწერება კოდექსში, რომ საზოგადოებას ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, მაშინ ასეთ შემთხვევაში კანონი დარღვეული არ იქნება. ამიტომ აჯობებს, რომ კანონის დონეზე უფრო მყარი გარანტია შეიქმნას იმისა, რომ ინფორმაცია კმედიით გზებით გავრცელდეს.

**Commented [VK8]:** ცვლილებების პროექტით მე-11 მუხლით მაგნე სურსათის კატეგორიაში შედის სურსათი, რომელიც „არ არის მიზანშეუწონელი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის“. შესაბამისად, სააგენტოს ასეთი სურსათის შესახებ ინფორმაციის გავრცელება უნდა ევალებოდეს.

გამჭვირვალობის ასეთი სტანდარტი განმტკიცებულია ევროპარლამენტის და საბჭოს 2002 წლის 28 იანვრის #178/2002 რეგულაციის მე-10 მუხლით. უფრო მეტიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით (საქმე: C 636/11, Karl Berger v Freistaat Bayern) #178/2002 რეგულაციის მე-10 მუხლი იმგვარად განმარტა, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა არ უნდა ზღუდავდეს და სახელმწიფოს ვალდებულება საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია პროდუქტის სახელწოდების, სავაჭრო ნიშნის, მწარმოებლის ან დისტრიბუტორის ზუსტი დასახელების შესახებ. იმ შემთხვევებშიც კი როდესაც პროდუქტი არ არის მანქანისა და მანქანის ნაწილისათვის, მაგრამ უშუალოდ ადამიანის მიერ მოხმარებისათვის“.

1. მომხმარებელს უნდა მიეწოდოს სურსათი/ცხოველის საკვებთან, ცხოველთან, მცენარესთან, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტთან, ვეტერინარულ პრეპარატთან, პესტიციდსა და აგროქიმიკატთან დაკავშირებული აუცილებელი, უტყუარი, სრული ინფორმაცია, რაც მას სწორი არჩევნის საშუალებას მისცემს.

2. წინამდებარე კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მომხმარებელი დაცული უნდა იქნეს მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის მცდელობისაგან.

3. დაუშვებელია სურსათის/ ცხოველის საკვების იმგვარი ეტიკეტირება, რეკლამა ან წარდგენა (მათ შორის დაფასობა, შეფუთვა, განთავსება), რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი სურსათის/ცხოველის საკვების ნამდვილ ბუნებასთან, მის შემადგენლობასთან, თვისებებთან ან სხვა მახასიათებლებთან დაკავშირებით.

4. აღკვეთილი ან/და თავიდან აცილებული უნდა იქნეს ყველა სხვა ქმედება, რომელსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი.

5. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, სააგენტოს მიერ ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვებთან, ცხოველთან, მცენარესთან, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტთან, ვეტერინარულ პრეპარატთან, პესტიციდსა და აგროქიმიკატთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და ბიზნესოპერატორის მიერ დეკლარირებული ინფორმაციის შესაბამისობის დადგენა.

6. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, სააგენტოს მიერ ხორციელდება ოპერატიული რეაგირება იმ შეტყობინებაზე, რომელიც იძლევა შემტყობინებელი პირისა და შეტყობინებაში ასახული ინფორმაციის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას“.

**Commented [VK9]:** რეაგირება ისიც, რომ ამ ინფორმაციას გაითვალისწინებენ მომავალი წლის კონტროლის გეგმის შედგენისას. ამიტომ ჩვენი წინადადებაა, რომ ამ პუნქტს დაემატოს სიტყვა „ოპერატიული“.

#### 11. მე-3 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„თავი III სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მოთხოვნები“**

#### 12. მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

##### **„მუხლი 11. სურსათის უვნებლობის მოთხოვნები**

1. ბაზარზე განთავსებული სურსათი, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

2. დაუშვებელია სურსათის ბაზარზე განთავსება, თუ იგი მავნეა.

3. სურსათი მიიჩნევა მავნედ, თუ იგი:

ა) ჯანმრთელობისთვის საზიანოა;

ბ) არ არის მიზანშეწონილი ადამიანის მიერ მოხმარებისათვის.

4. სურსათის უვნებლობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის, ასევე პირველადი წარმოების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

ბ) საბოლოო მომხმარებლის მიერ სურსათის დანიშნულებისამებრ გამოყენება;

გ) სურსათით, ან ცალკეული კატეგორიის სურსათით გამოწვეული მავნე ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად მომხმარებლისათვის მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია ეტიკეტზე დატანილი ინფორმაციის ჩათვლითან სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის.

დ) სურსათის არა მხოლოდ შესაძლო მეყსეული, ხანმოკლე ან გრძელვადიანი გავლენა მომხმარებელზე, არამედ მისი ეფექტი მომდევნო თაობებზეც;

ე) შესაძლო ტოქსიკური კუმულაციური ეფექტი;

ვ) განსაკუთრებული კატეგორიის მომხმარებლის ჯანმრთელობაზე სურსათის ზეგავლენის დონე, თუ ეს სურსათი აღნიშნული კატეგორიის მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი.

5. სურსათის ადამიანის მიერ გამოყენების მიზანშეწონილობის დასადგენად, გათვალისწინებული უნდა იქნეს თუ რამდენად დასაშვებია სურსათი ადამიანის მიერ დანიშნულებისამებრ მოხმარებისთვის დაბინძურების, დაობების, ლპობის ან გარეგნული დაზიანების ნიშნების არსებობის გამო.

6. თუ სურსათი მავნეა, ამ სურსათის მთელი პარტია მიიჩნევა მავნედ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტიის დეტალური შემოწმებისას დადასტურდება, რომ პარტიის დანარჩენი ნაწილი აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

7. სურსათის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან არ გამორიცხავს სააგენტოს მიერ სათანადო ზომების მიღებას ბაზარზე მისი განთავსების შეზღუდვასთან/აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან დაკავშირებით, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან სურსათის შესაბამისობის მიუხედავად, სურსათი უვნებელი არ არის“.

**13. მე-12 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი შემდეგი რედაქციით:**

„3. ცხოველის საკვები მიიჩნევა მავნედ დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის, თუ:

- ა) ეს საკვები რისკს წარმოქმნის ცხოველის ჯანმრთელობისათვის;
- ბ) ამ საკვებით გამოკვებილი ცხოველისაგან მიღებული სურსათი მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

4. თუ ცხოველის საკვები არ შეესაბამება ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს, ამ ცხოველის საკვების მთელი პარტია მიიჩნევა მავნედ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტიის დეტალური შემოწმებისას დადასტურდება, რომ პარტიის დანარჩენი ნაწილი აკმაყოფილებს ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს“.

**14. მე-12 მუხლს დაემატოს „მე-12“ და „მე-12“ მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 12<sup>1</sup>. ვეტერინარული მოთხოვნები

1. ვეტერინარული მოთხოვნები ეს არის მოთხოვნები, რომელიც წესდება ცხოველისა და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად, ქვეყანაში ვეტერინარული კეთილსამედობის შესანარჩუნებლად, დაავადების წარმოშობის შემთხვევაში კერების ლოკალიზაცია - ლიკვიდაცისათვის, ეპიზოოტიური მდგომარეობის განსაზღვრა - შეფასებისათვის, ცხოველის დაავადების პრევენციის, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების კონტროლისა და ცხოველთა კეთილდღეობისთვის.

2. ვეტერინარული მოთხოვნებია:

- ა) ქვეყნის ტერიტორიის დაცვა გადამდები დაავადებების გამომწვევების შემოჭრა- შემოტანისა და გავრცელებისაგან;
- ბ) ქვეყანაში ვეტერინარული კეთილსამედობის მიღწევა და შენარჩუნება;
- გ) მოსახლეობის დაცვა ზოონოზური დაავადებებისაგან;
- დ) ცხოველთა, მათ შორის, შინაურ ბინადარ ცხოველთა, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა;
- ე) ცხოველთა დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება;
- ვ) ცხოველთა და ცხოველური პროდუქტების სერტიფიცირება;
- ზ) ცხოველური პროდუქტების კეთილსამედობა;
- თ) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;
- ი) ვეტერინარული პრეპერატის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

#### **მუხლი 12<sup>2</sup>. მცენარეთა დაცვის მოთხოვნები**

- 1. ქვეყნის ტერიტორია დაცული უნდა იქნეს საკარანტინო მავნე ორგანიზმების შემოჭრა, შემოტანა ან/და გავრცელებისაგან.
- 2. მცენარეები, მცენარეული პროდუქტი, სხვა რეგულირებადი ობიექტი დაცული უნდა იქნეს მავნე ორგანიზმებისაგან ფიტოსანიტარიული ზომების გამოყენებით.
- 3. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს:
  - ა) ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობაზე და გარემოზე პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება;
  - ბ) რეგულირებადი ობიექტის ფიტოსანიტარიული სერტიფიცირება.“

#### **15. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

##### **„მუხლი 13. ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია, აღიარება**

- 1. ბიზნესოპერატორი ვალდებულია, გაიაროს შესაბამისი რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 2. რეგისტრაციის გარეშე ბიზნესოპერატორის საქმიანობა აკრძალულია.

3. აღიარებას ექვემდებარება ~~ეს~~ ცხოველური წარმოშობის სურსათის ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობის სფერო განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბიზნესოპერატორის აღიარება ხდება სააგენტოს მიერ, სახელმწიფო კონტროლის შედეგების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

5. აკრძალულია აღიარების გარეშე იმ ბიზნესოპერატორების საქმიანობა, რომლებიც ექვემდებარებიან აღიარებას.“.

### 16. მე-14-მე-16 მუხლები ამოღებულ იქნას.

#### 17. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

##### „მუხლი 17. მოთხოვნები მიკვლევადობისათვის

1. სურსათის/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, მცენარეული და ცხოველური პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდისა და აგროქიმიკატის ასევე, მათი ტარისა ან/და შესაფუთი მასალის მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.

2. მიკვლევადობის განსახორციელებლად, აუცილებელია, ბიზნესოპერატორი ფლობდეს სათანადო ინფორმაციას, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს. ამ მიზნით ბიზნესოპერატორს უნდა ჰქონდეს შემოღებული სისტემები და პროცედურები, რომელიც ამგვარი ინფორმაციით უზრუნველყოფს კომპენტენტურ ორგანოებს მოთხოვნისამებრ.

3. მიკვლევადობის განხორციელებისათვის სურსათის/ცხოველის საკვები, მცენარე, ცხოველი, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ვეტერინარული პრეპარატი, პესტიციდი და აგროქიმიკატი ეტიკეტირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში, მიკვლევადობის ზოგადი პრინციპები და მოთხოვნები, განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით.“.

#### 18. კოდექსს დაემატოს მე-17<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

##### „მუხლი 17<sup>1</sup>. საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. სურსათის ბიზნესოპერატორს დანერგული უნდა ჰქონდეს სურსათის უვნებლობის პროცედურები, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების შესაბამისად.

2. საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP)

**Commented [VK10]:** გაუგებარია რის საფუძველზე განისაზღვრება ეს სფერო? სჯობს, რომ კანონში ეწეროს, როგორც მინიმუმ, რაიმე საფუძველი, რომელსაც მერე დაეყრდნობა შესაბამისი (ალბათ მეორადი) კანონმდებლობა.

პრინციპებია:

ა) ნებისმიერი საფრთხის იდენტიფიცირება, მისი თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან სათანადო დონემდე შემცირების მიზნით;

ბ) კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა იმ ეტაპებზე ან ეტაპზე, სადაც აუცილებელია განხორციელდეს კონტროლი საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან სათანადო დონემდე შემცირების მიზნით;

გ) კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე, კრიტიკული ზღვრების დადგენა, საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან სათანადო დონემდე შემცირების მისაღები დონის დადგენის მიზნით;

დ) კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე, ეფექტიანი მონიტორინგის დანერგვა და განხორციელება;

ე) მაკორექტირებელი ქმედებების განსაზღვრა, იმ შემთხვევისათვის, როდესაც მონიტორინგით დგინდება, რომ კრიტიკული საკონტროლო წერტილი სცილდება დადგენილ კრიტიკულ ზღვარს;

ვ) პროცედურების შემუშავება ამ მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ქმედებების რეგულარულად შემოწმების მიზნით;

ზ) ამ მუხლის მეორე ნაწილის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ჩანაწერების წარმოება.

3. სურსათში, სურსათის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე და პროცესში ნებისიერი ცვლილებისას, ბიზნესოპერატორი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემაში.

4. საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემა არ არის სავალდებულო იმ ბიზნესოპერატორებისათვის, რომლებიც ეწევიან პირველად წარმოებას.

**5. სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის სახეები, რომელთათვისაც სავალდებულოა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა, განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტებით.**

**Commented [VK11]:** კანონით უნდა განსაზღვროს, როგორც მინიმუმ რაღაც საფუძველი, რომელსაც მერე დაეყრდნობა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

**19. მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 18. ეტიკეტირების წესი**

1. სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათი/ცხოველის საკვები (მათ შორის გენეტიკურად მოდიფიცირებული **ორგანიზმი** ან გენეტიკურად მოდიფიცირებული **ინგრედიენტის-ორგანიზმის** შემცველი ან მისგან **დამზადებული**), ცხოველი, მცენარე, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ვეტერინარული პრეპარატი, პესტიციდი და აგროქიმიკატი ეტიკეტირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**Commented [L12]:** ტერმინთა განმარტებები განსაზღვრავს მხოლოდ „გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმს“ და არა სურსათს, ან სხვას. შესაბამისად ეს ტერმინითელ კოდექსში სწორად უნდა იყოს გამოყენებული

2. ეტიკეტის შესაბამისობა კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან

დგინდება სახელმწიფო კონტროლის დროს.

3. დაუშვებელია სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტზე ან თანდართულ დოკუმენტებში ტერმინების - „ბიოლოგიური“, „ეკოლოგიური“, „ეკო“, „ბიო“, „ორგანული“ ნებისმიერი კომბინაციის მითითება, თუ იგი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ბიოწარმოების წესებს და ეს შესაბამისობა არ დასტურდება შესაბამისობის სერტიფიკატით.“.

4. ტერმინის „ნატურალური“ გამოყენება ეტიკეტზე დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სურსათის/ცხოველთა საკვების და მისი ინგრედიენტების წარმოებისას არ არის გამოყენებული ქიმიური სინთეზის პროცესები.

## 20. კოდექსს დაემატოს მე-III<sup>1</sup> თავი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი III<sup>1</sup> ბიზნესოპერატორის ვალდებულებები“

„**მუხლი 18<sup>1</sup>. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში**

1. ბიზნესოპერატორი, თავისი საქმიანობის ფარგლებში, ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის/ცხოველის საკვების შესაბამისობა ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან, სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.

2. თუ ბიზნესოპერატორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ იმპორტირებული, წარმოებული, გადამამუშავებული, სადისტრიბუციო ან ბაზარზე განთავსებული სურსათი/ცხოველის საკვები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს ის ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად ან ბაზარზე უკვე განთავსებული სურსათის/ცხოველის საკვების ამოსაღებად. თუ ასეთი სურსათი/ცხოველის საკვები მიწოდებულია საბოლოო მომხმარებლისთვის, ბიზნესოპერატორმა ეფექტიანად უნდა მიაწოდოს მომხმარებელს სრულყოფილი ინფორმაცია სურსათის/ცხოველის საკვების ბაზრიდან ამოღების მიზეზების შესახებ მომხმარებლისთვის გასაგები ფორმით. თუ ჯანმრთელობის დაცვის მისაღწევად გატარებული ზომები არ არის საკმარისი, ამ შემთხვევაში ბიზნესოპერატორმა უნდა გამოითხოვოს მომხმარებლისთვის უკვე მიწოდებული სურსათი/ცხოველის საკვები.

3. თუ სააგენტოს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბიზნესოპერატორის მიერ იმპორტირებული, წარმოებული, გადამამუშავებული, სადისტრიბუციო ან ბაზარზე განთავსებული სურსათი/ცხოველის საკვები მავნეა, ბიზნესოპერატორი ვალდებულია, სააგენტოს მითითების შესაბამისად, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად, ბაზარზე უკვე განთავსებული ან/და მომხმარებლისთვის უკვე მიწოდებული სურსათის/ცხოველის საკვების გამოსათხოვად.

**Commented [L13]:** ფორმულირება ეყრდნობა ნატურალურ და სინთეზურ არომატოზატორების განსაზღვრას კოდექს ალიმენტარიუსის CAC/GL 66-2008 სტანდარტში, იხ. [http://www.codexalimentarius.org/download/standards/11020/cxg\\_066e.pdf](http://www.codexalimentarius.org/download/standards/11020/cxg_066e.pdf)



4. ბიზნესოპერატორი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულ შემთხვევაში, მიღებული ზომების თაობაზე, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს სააგენტოს.

**Commented [VK14]:** მსგავსი მოთხოვნებია დასაწესებელი არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების მიმართ.

#### **მუხლი 18<sup>2</sup>. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები ვეტერინარიის სფეროში**

1. ბიზნესოპერატორი, რომელიც ეწევა ცხოველის მოშენებას, რეალიზაციას, გადარეკვას, გადაზიდვას ან/და დაკვლას, ვალდებულია დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) განახორციელოს ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებები, მათ შორის, ვაქცინაცია, დიაგნოსტიკური გამოკვლევები, მკურნალობა და გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო სხვა ღონისძიებები;

ბ) ცხოველის დაკვლა, მისი რეალიზაციის მიზნით, განხორციელდეს ვეტერინარული ზედამხედველობით;

გ) შეასრულოს სააგენტოს მითითებები, ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად;

დ) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან ცხოველის დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული, სალიკვიდაციო და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ღონისძიებების განხორციელებისას;

ე) უზრუნველყოს ცხოველთა, მათ შორის, შინაურ ბინადარ ცხოველთა, კეთილდღეობა;

ვ) უზრუნველყოს ცხოველთა გადარეკვა და გადაზიდვა, შესაბამისი ვეტერინარული დოკუმენტის თანხლებით;

ვ) უზრუნველყოს ცხოველთა გადარეკვა, გადაზიდვა და რეალიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) უზრუნველყოს ლემის განადგურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხ) უზრუნველყოს ბიოლოგიური ნარჩენების განადგურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) ცხოველთა გადამდები დაავადებების, ასევე, ცხოველთა მასობრივი მოწამვლა-მოშხამვის შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ , „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები ვრცელდება ოჯახური წარმოების სუბიექტზეც.

3. ბიზნესოპერატორი, რომელიც ახორციელებს ცხოველური პროდუქტების წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, თავის საქმიანობის ფარგლებში ვალდებულია, დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) ცხოველური პროდუქტები უნდა იყოს კეთილსაიმედო;

ბ) შეასრულოს სააგენტოს მითითებები, ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად და ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან, ცხოველის დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების

განხორციელებისას;

გ) უზრუნველყოს ცხოველური პროდუქტების გადაადგილება, შესაბამისი ვეტერინარული დოკუმენტის თანხლებით;

4. ამ მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ვრცელდება ოჯახური წარმოების სუბიექტზეც.

5. ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა უკავშირდება ვეტერინარული პრეპარატების წარმოებასა და დისტრიბუციას, ვალდებულია დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) სარეალიზაციოდ განკუთვნილი ვეტერინარული პრეპარატი რეგისტრირებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) დაცული უნდა იქნას ვეტერინარული პრეპარატის ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები;

გ) ბაზარზე არ უნდა განათავსოს ვადაგასული პრეპარატი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

6. ვეტერინარულ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ბიზნესოპერატორები თავიანთ საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

### **მუხლი 18<sup>3</sup>. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები მცენარის დაცვის სფეროში**

1. ბიზნესოპერატორი, რომელიც ეწევა მცენარის, მცენარეული პროდუქტის წარმოებას, გადამუშავებას ან/და დისტრიბუციას, ვალდებულია:

ა) დაიცვას მცენარე, მცენარეული პროდუქტი, წარმოების ადგილი, საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან;

ბ) არ დაუშვას გამოყენებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მავნე ზემოქმედება ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობაზე და გარემოზე;

გ) შეასრულოს სააგენტოს მითითებები, იმ განსაკუთრებით საშიში ან/და საკარანტინო მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ან მცენარის სიჯანსაღისათვის;

დ) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან, მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას;

ე) საკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და ეჭვის შემთხვევაში, დაუყონებლივ აცნობოს სააგენტოს;

ვ) აწარმოოს აღრიცხვა წარმოების ადგილზე მავნე ორგანიზმების გავრცელების თაობაზე ჩატარებული დაცვითი ღონისძიებებისა და გამოყენებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ვრცელდება ოჯახური წარმოების სუბიექტზეც“.

5. ბიზნესოპერატორი, რომლის საქმიანობა უკავშირდება აგროქიმიკატებისა და

პესტიციდების წარმოებასა და დისტრიბუციას, ვალდებულია დაიცვას შემდეგი მოთხოვნები:

ა) სარეალიზაციოდ განკუთვნილი აგროქიმიკატები და პესტიციდები რეგისტრირებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) დაცული უნდა იქნას აგროქიმიკატებისა და პესტიციდების ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები;

გ) ბაზარზე არ უნდა განათავსოს ვადაგასული აგროქიმიკატი ან/და პესტიციდი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

**Commented [VK15]:** დაემატოს იგივე მოთხოვნები, რაც ვეტერინარულ პრეპარატებთან დაკავშირებით არსებობს.

**21. IV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„თავი IV. სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები“**

**22. მე-19 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 19. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები.“**

**23. მე-19 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს საქართველოს მთავრობა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

**24. მე-20 – 22-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 20. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებები და ვალდებულებები სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში**

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებები და ვალდებულებებია:

- ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება;
- ბ) სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- გ) ღონისძიებებისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება ამ კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრული კრიზისული მდგომარეობის მართვის უზრუნველსაყოფად;
- დ) საერთაშორისო, საგანმანათლებლობო, სამეცნიერო და მომხმარებელთა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ე) რისკის ანალიზის ორგანიზება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**მუხლი 21. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებები და ვალდებულებები სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სფეროებში**

სურსათის უვნებლობისა და ვეტერინარიის სფეროებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებები და ვალდებულებებია:

- ა) სურსათის უვნებლობის ნორმებისა და პარამეტრების განსაზღვრაში მონაწილეობა;
- ბ) მომხმარებელთა სპეციალური ჯგუფებისათვის, მათ შორის, ბავშვთა და ჩვილ ბავშვთა კვებასთან, სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრაში მონაწილეობა;
- დ) სურსათით გამოწვეული დაავადებების მონიტორინგის, კვლევისა და კონტროლის განხორციელება და შესაბამის მონაცემთა ბაზის წარმოება;
- ე) ზოონოზური და სურსათით გამოწვეული დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, სააგენტოს ინფორმირება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ვ) ამ კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრული, კრიზისული მდგომარეობის მართვაში მონაწილეობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებით (IHR - 2005) დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**მუხლი 22. სააგენტოს უფლებამოსილებები და ვალდებულებები სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში**

სააგენტოს უფლებამოსილებები და ვალდებულებებია:

- ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში:
  - ა.ა) წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე სურსათის/ცხოველის საკვების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
  - ა.ბ) მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემოწმება მათი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
  - ა.გ) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შემოწმება მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ;

ა.დ) ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებაზე ზედამხედველობა;

ა.ე) მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია, რომ ეს სურსათი/ცხოველის საკვები ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისათვის მავნეა.

ბ) ვეტერინარიის სფეროში:

ბ.ა) ცხოველთა ჯანმრთელობისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება;

ბ.ბ) გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკა, მათი საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება, ორგანიზება, განხორციელება;

ბ.გ) ცხოველთა კეთილდღეობაზე კონტროლის განხორციელება;

ბ.დ) ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია, კონტროლი, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე ზედამხედველობა;

ბ.ე) ბიოლოგიური ნარჩენების (გარდა საშიში და სამედიცინო ბიოლოგიური ნარჩენებისა), შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე ზედამხედველობა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ.ვ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე) მიმდინარეობაზე ზედამხედველობა;

ბ.ზ) ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

ბ.თ) ზოონოზური დაავადების გამოვლენის შემთხვევაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ.ი) კომპეტენციის ფარგლებში ვეტერინარული კარანტინის ორგანიზება;

ბ.კ) ვეტერინარიის სფეროში დასაქმებული ბიზნესოპერატორების საქმიანობის კოორდინაცია;

ბ.ლ) საშიში ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოოტიების გავრცელების გამო არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხის შემუშავება;

ბ.მ) მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ ვეტერინარულ პრეპარატებთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია მათი მავნე ზემოქმედება ცხოველთა ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე;

ბ.ნ) ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენებაზე კონტროლი.

გ) მცენარეთა დაცვის სფეროში:

გ.ა) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია, გამოყენებისა და მიმოქცევის კონტროლი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ;

- გ. ბ) მცენარეთა დაცვის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება;
- გ. გ) მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- გ. დ) მცენარეთა კარანტინის ორგანიზება;
- გ. ე) განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელებასა და განვითარებაზე დაკვირვება, მათი გამოვლენა და დიაგნოსტიკა;
- გ. ვ) საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხის შემუშავება;
- გ. ზ) განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნეობების, დაავადებებისა და სარეველების მასობრივი გავრცელებისა და განვითარების პროგნოზირება;
- გ. თ) მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ პრევენციული და ლოკალიზაციის/სალიკვიდაციო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- გ. ი) ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტების დამუშავებაზე ზედამხედველობა საერთაშორისო გადაზიდვების შემთხვევაში;
- გ. კ) მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ აგროქიმიკატებისა და პესტიციდებთან დაკავშირებით, თუ დადასტურებულია მათი მავნე ზემოქმედება ადამიანთა/ცხოველთა ჯანმრთელობასა და გარემოზე;
- გ. ლ) მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ტერიტორიის სტატუსის ან მავნე ორგანიზმების დაბალი გავრცელების სტატუსის მინიჭება;
- გ. მ) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დატოვებამდე, ტვირთის ფიტოსანიტარიული სერტიფიკაციის შემდეგ, მისი ხელახალი ინვაზიისა და შემადგენლობის ჩანაცვლების თავიდან აცილება სათანადო პროცედურების განხორციელებით;
- დ) ბიზნესოპერატორთა აღიარება;
- ე) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში რისკის მართვის და კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- ვ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ ბიზნესოპერატორებისა და მომხმარებელთა ინფორმირება;
- ზ) უფლებამოსილი პირების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება;
- თ) სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და მომხმარებელთა ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ი) ნებართვების, სერტიფიკატების და ლიცენზიების გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- კ) ქვეყანაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის დროს კრიზისული მართვის გეგმის შემუშავება და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა.
- ლ) გარემოს დაბინძურების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირება;
- მ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**25. კოდექს დაემატოს 22<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 22<sup>1</sup>. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა**

სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის პრინციპია ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარიის სფეროში ღონისძიებების განხორციელებისას ურთიერთ დახმარება და თანამშრომლობა, საერთო პრობლემების ერთობლივად გადაჭრის მიზნით, რომელიც მოიცავს:

- ა) მცენარეთა კარანტინის და ვეტერინარული კარანტინის დროს საკარანტინო მავნე ორგანიზმების და დაავადებების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის ან სხვა შეზღუდვების დაწესებას, მოხსნას და მის გატარებაში ხელშეწყობას;
- ბ) ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობას;
- გ) არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობას.

**26. 25-ე და 26-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 25. სახელმწიფო კონტროლის სახეები**

სახელმწიფო კონტროლის სახეებია:

- ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი – ქმედება, რომელიც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ეტიკეტირების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;
- ბ) ვეტერინარული კონტროლი – ქმედება, რომელიც ხორციელდება ვეტერინარიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;
- გ) ფიტოსანიტარიული კონტროლი - ქმედება, რომელიც ხორციელდება მცენარეთა დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად.

**მუხლი 26. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები**

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლის, ვეტერინარული კონტროლისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- ა) ინსპექტირება;
- ბ) ზედამხედველობა;
- გ) მონიტორინგი;
- დ) დოკუმენტური შემოწმება;
- ე) ნიმუშის აღება.

2. სააგენტომ შესაძლებელია სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანების შესრულების დელეგირება მოახდინოს ერთ ან მეტ

მაკონტროლებელ ორგანოზე, რომელიც მოქმედებს სააგენტოს ზედამხედველობით, იმ შემთხვევაში თუ:

ა) არსებობს ზუსტი აღწერილობა იმ ამოცანებისა, რომელიც შესაძლებელია განახორციელოს მაკონტროლებელმა ორგანომ;

ბ) არის მიუკერძოებელი და თავისუფალია ინტერესთა კონფლიქტისგან მისთვის დელეგირებული ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით.

3. მაკონტროლებელი ორგანო აკრედიტებული უნდა იყოს:

ა) სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ ან;

ბ) ევროკავშირისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი დაწესებულების მიერ.<sup>4</sup>

[4. სახელმწიფო კონტროლის შედეგები არის საჯარო](#)

## **27. კოდექსს დაემატოს 26<sup>1</sup> - 26<sup>3</sup> მუხლები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

### **„მუხლი 26<sup>1</sup>. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები**

1. ინსპექტირება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპების ცალკეული ასპექტის ან ასპექტების გამოკვლევა, მათი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და წესებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომელიც ხორციელდება ბიზნესოპერატორის წინასწარი გაფრთხილების გარეშე და მოიცავს:

ა) ბიზნესოპერატორის საქმიანობის შემოწმებას წარმოების, გადამუშავების დისტრიბუციის ეტაპებზე;

ბ) დოკუმენტურ შემოწმებას;

გ) დადგენილი წესით ნიმუშის აღებას და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევების ჩატარებას.

2. მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვებები და გაზომვები, სურსათის/ცხოველის საკვების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით და ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში. მისი შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა) წინა წლებში მოსახლეობასა და ცხოველებში კვებითი მოშხამების, სურსათით/ცხოველის საკვებით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა საკვებისმიერი მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების მიკრობიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური დაბინძურების შემთხვევები;



გ) გარემოს დაბინძურების შემთხვევები;

დ) მომხმარებელთა მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის შემთხვევები;

ე) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

3. მონიტორინგის ფარგლებში არსებული მდგომარეობა შეისწავლება ნიმუშის აღებისა და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევების ჩატარების გზით, რისკის შეფასების განხორციელებისათვის, რომლის დროსაც:

ა) მოწმდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მაჩვენებლების, ეტიკეტისა და წარდგენის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან; მათ შორის, ეტიკეტის შესაბამისობა სურსათის/ცხოველის საკვების რეალურ შემადგენლობასთან;

ბ) ხორციელდება დოკუმენტური შემოწმება.

4. ზედამხედველობა არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება. დაკვირვება ხორციელდება:

ა) სურსათის განადგურებაზე;

ბ) ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის ბაზარზე განთავსების აღკვეთას ~~ა~~ და ბაზრიდან და მომხმარებლისგან გამოთხოვაზე;

გ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

5. დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან ერთად ტარდება სურსათის/ ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმება.

6. ნიმუშის აღება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება ორგანოლექტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების, ან/და სხვა მაჩვენებლების გამოკვლევის მიზნით, რათა განისაზღვროს ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხე. ასევე, რათა შემოწმდეს ეტიკეტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, მათ შორის, ეტიკეტის შესაბამისობა სურსათის/ცხოველის საკვების რეალურ შემადგენლობასთან.

7. ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

**Commented [VK16]:** ეს მკაფიოდ არ ჩანს კანონიდან. აჯობებს, რომ ნათლად გაიწეროს, რომ სამომავლოდ სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალება არ იყოს.

**Commented [VK17]:** ეს აუცილებელია დაემატოს, ვინაიდან მუხლი 181, პუნქტი 3 ითვალისწინებს სურსათის მომხმარებლისგან გამოთხოვას.

## **მუხლი 26<sup>7</sup>. ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები**

1. ინსპექტირება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება ცხოველის, ცხოველური პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ცალკეული ასპექტის ან ასპექტების გამოკვლევა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან და წესებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით და მოიცავს:

ა) ბიზნესოპერატორის საქმიანობის შემოწმებას წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ეტაპებზე, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შემოწმებას;

ბ) დოკუმენტურ შემოწმებას;

გ) სინჯის, ნიმუშის, პათოლოგიური მასალის აღებას და ლაბორატორიულ გამოკვლევას ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისათვის.

2. მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი დაკვირვება და მონაცემების მოპოვება ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის, კეთილდღეობის, ცხოველურ პროდუქტებისა და ვეტერინარულ პრეპარატების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით და მოიცავს:

ა) სინჯის, ნიმუშის, პათოლოგიური მასალის აღებას რისკის შეფასებისათვის;

ბ) ვეტერინარული პრეპარატების ნიმუშების აღებას;

გ) ცხოველის, ცხოველური პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის ეტიკეტის შემოწმებას;

დ) ცხოველთა საცხოვრებელი გარემოს დათვალიერებას და ინფორმაციის შეგროვებას;

ე) ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის შესრულების შემოწმებას.

3. ზედამხედველობა არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც ხორციელდება ცხოველზე, ცხოველურ პროდუქტზე, ვეტერინარულ პრეპარატზე, ბიზნესოპერატორის საქმიანობაზე დაკვირვება, რომელიც ხორციელდება:

ა) ცხოველის დაკვლის პროცესზე (დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომი) ;

ბ) საკარანტინო ღონისძიებების ჩატარებაზე;

გ) ცხოველთა გადამდები და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე;

დ) არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, უხარისხო და მიზნობრივად გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე;

ე) ბიოლოგიური ნარჩენების, (გარდა საშიში და სამედიცინო ბიოლოგიური ნარჩენებისა), შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე;

ვ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე) მიმდინარეობაზე;

ზ) ცხოველის საკვების განადგურებაზე;

თ) ბიზნესოპერატორის მიერ სააგენტოს მითითებების შესრულებაზე.

4. დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება ვეტერინარიის სფეროში ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმება.

5. ვეტერინარული კონტროლი ხორციელდება ვეტერინარი ექიმის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ვეტერინარული ტექნიკოსი უფლებამოსილია განახორციელოს ვეტერინარული კონტროლი ვეტერინარი ექიმის მეთვალყურეობით.

6. ნიმუშის აღება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება ორგანოლექტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების, ან/და სხვა მარკვერების გამოკვლევის მიზნით, რათა განისაზღვროს ცხოველის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხე.

7. ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.

### **მუხლი 26<sup>ე</sup>. ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები**

1. ინსპექტირება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომელიც მოიცავს მცენარის, მცენარეული პროდუქტის, სხვა რეგულირებადი ობიექტის ვიზუალურ შემოწმებას (დახედვას) მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და მოიცავს ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტისა და რეექსპორტის დროს, ასევე საკარანტინო ზონაში:

ა) მცენარის, მცენარეული პროდუქტის, სხვა რეგულირებად ობიექტთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმებას;

ბ) ტვირთის იდენტიფიკაციის და მთლიანობის შემოწმებას;

გ) დამუშავების ეფექტურობის შემოწმებას;

დ) ფიზიკურ შემოწმებას და საჭიროების შემთხვევაში ნიმუშის აღებას.

2. ინსპექტირების დროს ხორციელდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემოწმების სახეებიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე ერთად.

3. მონიტორინგი არის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შემოწმების ხანგრძლივი პროცესი ან/და ხანგრძლივი კვლევა მავნე ორგანიზმის პოპულაციის მასასიათებლების შემოწმებისათვის და მოიცავს:

ა) საკარანტინო მავნე ორგანიზმების განვითარების პროგნოზირებას, მიწათმოსარგებლის დროულ გაფრთხილებას საკარანტინო მავნე ორგანიზმის გამოჩენისა და ფიტოსანიტარიული ღონისძიებების ჩატარების ვადების შესახებ;

ბ) ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ნიმუშების აღებას;

გ) სასოფლო-სამეურნეო, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ტყეების კვლევას საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის განსაზღვრის, მავნეობის დადგენისა და საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისათვის.

4. ზედამხედველობა არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომელიც მოიცავს:

ა) საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხის კორექტირებისა და საკარანტინო მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების დაზუსტების მიზნით მოცემულ ზონაში კვლევების, მონიტორინგის შედეგებით და სხვა პროცედურების საშუალებით მავნე ორგანიზმების არსებობის, ან არ არსებობის შესახებ მონაცემების შეგროვებისა და რეგისტრაციის ოფიციალურ პროცესს, რომლის დროსაც ხორციელდება:

ა.ა) სასოფლო-სამეურნეო, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, ტყეებზე დაკვირვება;

ა.ბ) საკარანტინო მავნე ორგანიზმების არსებობის ან არარსებობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მონაცემთა შეკრება, გამოკითხვა;

ა.გ) ნიმუშის აღება;

ა.დ) მცენარის, მცენარეული პროდუქტის, სხვა რეგულირებადი ობიექტის (მათ შორის ხის ტარისა და შესაფუთი მასალის) დამუშავებასა და განადგურებაზე დაკვირვება.

ბ) პესტიციდისა და აგროქიმიკატის შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციის, შემოტანის, დაფასოების, გამოყენებისა და მარკირების კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმება.

5. დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომლის დროსაც დამოუკიდებლად ან სახელმწიფო კონტროლის სხვა მექანიზმებთან ერთად ხორციელდება მცენარეთა დაცვის სფეროში ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემოწმება.

6. ნიმუშის აღება არის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება მავნე ორგანიზმების გამოვლენის, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მახასიათებლების სამომხმარებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

7. ნიმუშის აღება შეიძლება განხორციელდეს ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის დროს ან დამოუკიდებლად.“.

[28. 27-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: 1. სააგენტო სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს რისკის ანალიზის საფუძველზე შემუშავებული სახელმწიფო](#)

Formatted: Not Highlight

**28. VI-X თავები ამოღებულ იქნეს.**

**29. 48-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმი, რომელიც გამოიყენება იმ ვეტერინარული პრეპარატის მიმართ, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულმა სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისმა ვეტერინარული პრეპარატის მარეგულირებელმა სახელმწიფო ორგანომ დაუშვა შესაბამის ბაზარზე;

ბ) ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმი, რომელიც მოიცავს სააგენტოს მიერ ექსპერტიზისა და სარეგისტრაციო გამოცდის საფუძველზე სარეგისტრაციო მოწმობის გაცემას და ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეესტრში შეტანას.“

**30. 49-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 49. პესტიციდისა და აგროქიმიკატის სახელმწიფო რეგისტრაცია**

1. საქართველოში წარმოებული ან იმპორტირებული პესტიციდისა ან/და აგროქიმიკატის სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო.
2. აკრძალულია ისეთი პესტიციდისა ან/და აგროქიმიკატის წარმოება, რეალიზაცია და გამოყენება, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის რეგისტრირებული საქართველოში.

**31. 50-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ზ) თუ ეს არის შუალედური ან/და დაუფაოსებელი ვეტერინარული პრეპარატი“;

**32. 52-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 52. კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმა**

1. სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს სურსათის/ცხოველის საკვების უზნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმას და მას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.
2. კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმით კონკრეტულად განისაზღვრება რისკის ის დონე, რომლის აღკვეთა, აღმოფხვრა ან მისაღებ დონემდე შემცირება გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.
3. კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმით კონკრეტულად განისაზღვრება იმ ქმედებებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია კრიზისის

სამართავად, კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნის, გამჭვირვალობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვის და მომხმარებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ჩათვლით.

4. კრიზისული მდგომარეობის დროს იქმნება კრიზისის მართვის ჯგუფი, რომლის მუშაობაში, საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო კონსულტაციების გაწვევისათვის, მონაწილეობას ღებულობენ სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები.

5. კრიზისის მართვის ჯგუფს ევალება განახორციელოს ყველა არსებული ინფორმაციის შეგროვება, შეფასება და მოქმედების სხვადასხვა ვარიანტების იდენტიფიკაცია, რათა დროულად და ეფექტიანად მოხდეს ადამიანისა და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მცენარეთა სიჯანსაღისა და გარემოზე ზემოქმედების რისკების აღმოფხვრა, შემცირება და თავიდან აცილება.

6. კრიზისის მართვის ჯგუფი უფლებამოსილია დახმარებისათვის მიმართოს ნებისმიერ პირს, რომლის ცოდნა და გამოცდილება საჭირო იქნება კრიზისის ეფექტიანად რეგულირებისათვის.“

**33. 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც გამოვლინდება საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებულ ნუსხაში შეტანილი საკარანტინო დაავადება, დაუყოვნებლივ წესდება იძულებითი კარანტინი შესაბამისი დაავადებისათვის დადგენილი საკარანტინო ვადით.“

**34. 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ) იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ტერიტორიებსა და შენობებზე, რომლებიც ამზადებენ, ამუშავებენ, ინახავენ მცენარეულ პროდუქტებს და ახორციელებენ მათ რეალიზაციას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, ტყეებზე, საკარმიდამო და სააგარაკო ნაკვეთებზე.“

**35. 55-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით**

**„მუხლი 55. ვეტერინარული კარანტინისა და მცენარეთა კარანტინის დაწესება და მოხსნა**

1. საკარანტინო მავნე ორგანიზმისა და ცხოველთა გადამდები დაავადებების აღმოჩენისას განსაზღვრული ტერიტორია ცხადდება საკარანტინო ზონად.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარული კარანტინი და მცენარეთა კარანტინი, გარდა ამ კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული პროფილაქტიკური კარანტინისა, წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე:

ა) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის მიერ;

ბ) ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე – ამ თვითმმართველ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

3. საკარანტინო ღონისძიებების განხორციელების წესი რეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტით. “

**36. 56-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.**

**37. კოდექსს დაემატოს XIII<sup>1</sup> თავი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„თავი XIII<sup>1</sup>. სურსათი/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, მცენარეული და ცხოველური პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის ექსპორტ-იმპორტი, რეექსპორტი**

**მუხლი 57<sup>1</sup>. ექსპორტ-იმპორტისა და რეექსპორტის მოთხოვნები**

1. ექსპორტისათვის განკუთვნილი სურსათი/ცხოველის საკვები, მცენარე, ცხოველი, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ვეტერინარული პრეპარატი, პესტიციდი, აგროქიმიკატი უნდა აკმაყოფილებდეს იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნებს. ექსპორტისათვის სააგენტო ან სამსახური გასცემს შესაბამის ჰიგიენურ (ჯანმრთელობის), ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატებს.

2. საქართველოში იმპორტირებული სურსათი და ცხოველის საკვები, ცხოველი, მცენარე, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ასევე ვეტერინარული კონტროლისადმი და ფიტოსანიტარიული კონტროლისადმი დაქვემდებარებული პროდუქცია, უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

3. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსაყვანი ცხოველი, შემოსატანი მცენარე, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ვეტერინარული კონტროლისადმი და ფიტოსანიტარიული კონტროლისადმი დაქვემდებარებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. საქართველოდან რეექსპორტირებული სურსათი და ცხოველის საკვები, ცხოველი, მცენარე, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ასევე ვეტერინარულ კონტროლისადმი და ფიტოსანიტარიულ კონტროლისადმი დაქვემდებარებული პროდუქცია, უნდა შეესაბამებოდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა რამ მოითხოვება მიმღები ქვეყნის მიერ.“

**38. 58-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. სააგენტოსა და მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელები ვალდებული არიან, უზრუნველყონ უფლებამოსილი პირის ქვეყის ზოგადი წესის ხელმისაწვდომობა და გაცნობა მათდამი დაქვემდებარებული უფლებამოსილი პირებისათვის.“

**39. მე-60 მუხლის:**

**ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 60. უფლებამოსილი პირის მოვალეობები და პასუხისმგებლობა“

**ბ) დაემატოს მე-3 ნაწილი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. უფლებამოსილი პირი, ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის, პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“

**40. 62-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. უფლებამოსილ პირს არ უნდა ჰქონდეს სხვა საქმიანი ურთიერთობა ოჯახური, ან ნათესაური კავშირი, ან რაიმე სხვა ტიპის ურთიერთობა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს უფლებამოსილი პირის ობიექტურობაზე. იმ ბიზნესოპერატორთან, რომლის კონტროლსაც ის ახორციელებს. მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელს და ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელს ან წამომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს არ შეიძლება ჰქონდეთ საერთო ეკონომიკური ინტერესი.“

**62-ე მუხლს დაემატოს მე-4 ნაწილი:**

„4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდებასთან დაკავშირებული პროცედურები დარეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“

**41. 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

5. ინსპექტირებისას შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ბიზნესოპერატორი ჯარიმდება ამ კოდექსის მხოლოდ 68-ე მუხლის საფუძველზე.

**42. 64-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი 64. პირის საქმიანობა ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის ან/და აღიარების გარეშე**

1. ამ კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, პირის საქმიანობა ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და შესაბამისი საქმიანობის შეჩერებას.

2. ამ კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, პირის საქმიანობა აღიარების გარეშე – გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით და შესაბამისი საქმიანობის შეჩერებას.“

**43. 65-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„**მუხლი 65. ბიზნესოპერატორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა სურსათის/ცხოველის საკვების ვეტერინარული პრეპარატის, აგროქიმიკატისა და პესტიციდის ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად ან ბაზრიდან გამოთხოვასთან დაკავშირებით**

1. ამ კოდექსის მე-18<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების ვეტერინარული პრეპარატის, აგროქიმიკატისა და პესტიციდის ბაზარზე განთავსება ან ვალდებულების შეუსრულებლობა ბაზარზე უკვე განთავსებული ან მომხმარებლისთვის მიწოდებული მავნე სურსათის/ცხოველის საკვების ან არარეგისტრირებული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული

**Commented [VK18]:** ამ ცვლილებით და 68-ე მუხლის ცვლილებით გაუგებარია რა ხდება კრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში. 68-ე მუხლი ეხება სანქციებს რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამიტომ, გთავაზობთ 68-ე მუხლის სხვაგვარ რედაქციას. იხ. ქვემოთ.

**Commented [VK19]:** დასამატებელი შესაბამისი პუნქტები ვეტერინარულ პრეპარატებთან, აგროქიმიკატებთან და პესტიციდებთან მიმართებაში.



პრეპარატის, აგროქიმიკატისა და პესტიციდის – გამოთხოვასთან დაკავშირებით – გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას გამოვლენილი პროდუქტის საბაზრო ღირებულების გაორმაგებული ოდენობით, ხოლო მომდევნო 1 წ. განმავლობაში ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში -- გასამმაგებული ოდენობით.1000 ლარის ოდენობით.

2. ამ კოდექსის მე-18<sup>1</sup> მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული, ან მომხმარებლისთვის მიწოდებული სურსათის/ცხოველის საკვების ვეტერინარული პრეპარატის, აგროქიმიკატისა და პესტიციდის გამოთხოვასთან და ამ მიზნით მიღებულ ზომებთან დაკავშირებით სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინებისთვის თავის არიდება –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას გამოვლენილი პროდუქტის საბაზრო ღირებულების გაორმაგებული ოდენობით, ხოლო მომდევნო 1 წ. განმავლობაში ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში -- გასამმაგებული ოდენობით.200 ლარის ოდენობით.

3. მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზრიდან, ან მომხმარებლისგან დაუყოვნებლივ გამოთხოვასთან დაკავშირებით სააგენტოს მოთხოვნის შეუსრულებლობა – გამოიწვევს პირის დაჯარიმებას

გამოვლენილი პროდუქტის საბაზრო ღირებულების გაორმაგებული ოდენობით, ხოლო მომდევნო 1 წ. განმავლობაში ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში -- გასამმაგებული ოდენობით.

1000 ლარის ოდენობით.

#### 44. 66-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 66. მითითებების, ვალდებულებებისა და გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა ცხოველის ჯანმრთელობისა და მცენარის მავნე ორგანიზმებისაგან დაცვასთან დაკავშირებით**

1. ამ კოდექსის მე-18<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ცხოველის დაკვლა მისი რეალიზაციის მიზნით, ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. ამ კოდექსის მე-18<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-18<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტოს მითითებების შეუსრულებლობა ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად, ასევე მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად –

გამოიწვევს ოჯახური წარმოების სუბიექტის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით,

წლიური 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორთა დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო 500 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორის

**Commented [VK20]:** დასამატებელი შესაბამისი პუნქტები ვეტერინარულ პრეპარატებთან, აგროქიმიკატებთან და პესტიციდებთან მიმართებაში.

**Formatted:** Font: Not Bold

დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. ერთი წლის განმავლობაში ამ დარღვევის განმეორება გამოიწვევს წლიური 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. ხოლო 500 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორთა დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

ხოლო ბიზნესოპერატორისას—500 ლარის ოდენობით.

3. ხორცის რეალიზაცია ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე –

გამოიწვევს

წლიური 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორთა დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო 500 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით და ხორცის ბაზარზე განთავსების აღკვეთას ან/და ბაზარზე უკვე განთავსებული ხორცის გამოთხოვას. ერთი წლის განმავლობაში ამ დარღვევის განმეორება გამოიწვევს წლიური 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით, ხოლო 500 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორთა დაჯარიმებას 4000 ლარის ოდენობით ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით და ხორცის ბაზარზე განთავსების აღკვეთას ან/და ბაზარზე უკვე განთავსებული ხორცის გამოთხოვას.

4. ვეტერინარული კარანტინისა და მცენარეთა კარანტინის ფარგლებში, უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებებისა და მითითებების შეუსრულებლობა

გამოიწვევს ოჯახური წარმოების სუბიექტის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით,

წლიური 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორთა დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო 500 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. ერთი წლის განმავლობაში ამ დარღვევის განმეორება გამოიწვევს წლიური 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო 500 000 ლარზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე ბიზნეს-ოპერატორთა დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

ხოლო ბიზნესოპერატორისას—500 ლარის ოდენობით.

5. ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით.“

**45. 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 68. ბიზნესოპერატორის პასუხისმგებლობა მიერ—რეკომენდაციების შეუსრულებლობა შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში**

1. უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობა ისეთი შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შესაძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე, -

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით;

Formatted: Indent: Left: 0", First line: 0", Right: 0", Line spacing: single, No widow/orphan control, Tab stops: -0.06", Left + 0", Left + 0.06", Left + 0.1", Left + 0.13", Left + 0.16", Left + 0.19", Left + 0.22", Left + 0.26", Left + 0.29", Left + 0.32", Left + 0.35", Left + 0.38", Left + 0.42", Left + Not at 7.13"

2. პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობა ახალი გონივრული ვადის გასვლის შემდეგ –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1 200 ლარის ოდენობით და საწარმო პროცესის შეჩერებას.

3. ისეთი შეუსაბამობის არსებობა, რომლის დროსაც აღმოჩენილია ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნე სურსათი/ცხოველის საკვები და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შეუძლებელია კონკრეტული საწარმო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე, –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით და საწარმო პროცესის შეჩერებას.

**46. 69- ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 69. ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დარღვევა**

1. ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დარღვევა-

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

**47. 70-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 70. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის ხელის შეშლა**

„სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირთან თანამშრომლობაზე უარის თქმა ან უფლებამოსილების განხორციელებისას მისთვის ხელის სხვაგვარად შეშლა, მათ შორის, დოკუმენტური შემოწმების ფარგლებში, უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების მიუწოდებლობა, –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 41000 ლარის ოდენობით, ხოლო გონივრული ვადის გასვლის შემდეგ დარღვევის არ აღმოფხვრის შემთხვევაში -- საწარმო პროცესის შეჩერებას.“

48. 72-ე - 74-ე მუხლები ამოღებულ იქნეს.

49. 74<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 74<sup>1</sup>. ბიზნესოპერატორის მიერ ეტიკეტირების წესის დარღვევა**

1. ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ ცხოველის საკვების ვეტერინარული პრეპარატის, აგროქიმიკატისა და პესტიციდის ეტიკეტზე საქართველოს

Formatted: Indent: First line: 0", Line spacing: 1.5 lines

Formatted: Font: Not Bold

კანონმდებლობით დადგენილი წესით აუცილებელი ინფორმაციის არასრულყოფილად განთავსება -

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას გამოვლენილი პროდუქტის საბაზრო ღირებულების ოდენობით, ხოლო მომდევნო 1 წ. განმავლობაში ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში -- გაორმაგებული ოდენობით 200 ლარის ოდენობით.

2. ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას

გამოვლენილი პროდუქტის საბაზრო ღირებულების გაორმაგებული ოდენობით, ხოლო მომდევნო 1 წ. განმავლობაში ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში -- გასამმაგებული ოდენობით და პროდუქტის ბაზარზე განთავსების აღკვეთას ან/და ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქტის გამოთხოვას.

1000 ლარის ოდენობით.

3. ბიზნესოპერატორის მიერ ვეტერინარული პრეპარატის ეტიკეტირების წესის დარღვევა –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას გამოვლენილი პროდუქტის საბაზრო ღირებულების გაორმაგებული ოდენობით, ხოლო მომდევნო 1 წ. განმავლობაში ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში -- გასამმაგებული ოდენობით და პროდუქტის ბაზარზე განთავსების აღკვეთას ან/და ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქტის გამოთხოვას.

200 ლარის ოდენობით.

**50. კოდექსს დაემატოს 74<sup>ე</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 74<sup>ე</sup>. ვადაგასული სურსათის/ცხოველის საკვების ვეტერინარული პრეპარატის, აგროქიმიკატისა და პესტიციდის რეალიზაცია**

ბიზნესოპერატორის მიერ ვადაგასული სურსათის/ცხოველის საკვების ვეტერინარული პრეპარატის, აგროქიმიკატისა და პესტიციდის ბაზარზე განთავსება საბოლოო მომხმარებლისთვის მიწოდების მიზნით -

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას გამოვლენილი პროდუქტის საბაზრო ღირებულების გაორმაგებული ოდენობით, ხოლო მომდევნო 1 წ. განმავლობაში ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში -- გასამმაგებული ოდენობით და პროდუქტის ბაზარზე განთავსების აღკვეთას ან/და ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქტის გამოთხოვას 500 ლარის ოდენობით.“.

**51. 75-ე მუხლის:**

Formatted: Font: Not Bold

**ა) პირველი და მეორე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს მთავრობამ ამ კოდექსის ამოქმედებიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული ნორმატიული აქტების ამ კოდექსთან შესაბამისობა.

2. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტები მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის მიერ.“.

**ბ) მე-3 ნაწილს „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.“**

**52. 75-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ინსპექტირების დროს ამ კოდექსის მოთხოვნებთან მიკვლევადობის და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი გასცემს მხოლოდ რეკომენდაციებს მისი გამოსწორების მიზნით და აღნიშნული შეუსაბამობის აღმოჩენა არ იწვევს ამ კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად დაჯარიმებას 2015 წლის პირველ იანვრამდე.“.

**53. 75-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 - მე-7 ნაწილები:**

„5. ამ კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა არ გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 2015 წლის პირველ იანვრამდე, გარდა იმ პირისა, რომლის საქმიანობა უკავშირდება სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას.

6. იმ ბიზნესოპერატორის საქმიანობა, რომელიც ექვემდებარება აღიარებას, არ გამოიწვევს ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დაჯარიმებას 2015 წლის პირველ იანვრამდე.

7. ამ კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა არ გამოიწვევს ამ კოდექსის 74<sup>1</sup> მუხლის თანახმად დაჯარიმებას 2014 წლის პირველ აგვისტომდე.“.

**54. 76-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული ის ნორმატიული აქტები, რომელთა ამ კოდექსთან შესაბამისობა მისი ამოქმედებიდან 3 წლის ვადაში არ იქნება უზრუნველყოფილი.“.

**55. 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ეს კოდექსი გარდა 67-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.“

56. 76-ე მუხლის მე-4 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

**მუხლი 2.**

1. ეს კანონი, გარდა ~~პირველი მუხლის მე-3 ნაწილის~~, მე-15 ნაწილით გათვალისწინებული მე-13 მუხლის მე-3-მე-5 ნაწილების, მე-20 ნაწილით გათვალისწინებული 18<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, 24-ე ნაწილით გათვალისწინებული 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 26-ე-28-ე ნაწილების და 44-ე ნაწილით გათვალისწინებული 66-ე მუხლის მე-5 ნაწილისა ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. ამ კანონის:

ა) პირველი მუხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული მე-13 მუხლის მე-3-მე-5 ნაწილები, პირველი მუხლის მე-3 ნაწილი, და 26-ე-28-ე ნაწილები ამოქმედდეს 2015 წლის პირველი იანვრიდან;

ბ) ~~პირველი მუხლის მე-3 ნაწილი~~, მე-20 ნაწილით გათვალისწინებული 18<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, 24-ე ნაწილით გათვალისწინებული 22-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტი და 44-ე ნაწილით გათვალისწინებული 66-ე მუხლის მე-5 ნაწილი ამოქმედდეს 2020 წლის პირველი იანვარიდან.

**Commented [VK21]:** გაუგებარია, თუ რატომ ხდება ცვლილებების პროექტის 26-ე-28-ე პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებების გადავადება.

**Commented [L22]:** ეს არის ბიზნესოპერატორების ფიზიკურ პირებზე განვრცობა. ამის გადავადება 2020-მდე სრულებით დაუშვებელია!

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი  
„სურსათის/ცხოველის საკვების უზენბლობის, ვეტერინარიისა და  
მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“  
საქართველოს კანონპროექტზე

**ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:**

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

კანონპროექტის მიღების მიზეზია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების ყველა მარეგულირებელი ნორმის შეტანის აუცილებლობა ევროკომისიის ზოგადი მიდგომის გათვალისწინებით.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიღების მიზანია, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა, სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია, საქართველოში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მყარი სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. აღნიშნულმა პროექტმა მოიცვა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების ყველა მარეგულირებელი ნორმა და ზოგადი პრინციპები. ეს კოდექსი გავრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე პირველად წარმოებაზე, ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ვეტერინარულ პრეპარატებზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი პროექტით ახალი რედაქციით ყალიბდება კოდექსის მიზანი და რეგულირების სფერო, კერძოდ:

ამ კანონპროექტის მიზანია, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ასევე ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ხოლო, ეს პროექტი ვრცელდება სურსათის/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე პირველად წარმოებაზე, ცხოველთა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ვეტერინარულ პრეპარატებზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე.

კანონის პროექტი მოაწესრიგებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების სახელმწიფო კონტროლის სახეებს, სურსათის/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, მიკვლევადობასთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციებს, ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის და მცენარეთა დაცვის და მცენარეთ სიჯანსაღის ძირითად მოთხოვნებსა და პირობებს, საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარულ კარანტინს და მცენარეთა კარანტინს, სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტის მოთხოვნებს და ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობებს.

წარმოდგენილი პროექტით, ევროკომისიის მოსაზრებების გათვალისწინებით, დაიხვეწა და დეტალურად გაიწერა ტერმინთა განმარტებები, კერძოდ, განიმარტა ისეთი ტერმინები, როგორც არის: ვეტერინარია, ბიოწარმოება, ცხოველი, შინაური ცხოველი, ხარისხი, ბიზნესოპერატორის აღიარება, ცხოველთა კეთილდღეობა, ასევე, ცხოველური და მცენარეული პროდუქტები, რომელიც გულისხმობს, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის ისეთ პროდუქტებსაც, რომლებიც არ არის განკუთვნილი ადამიანის საკვებად. შესაბამისად, კოდექსის მეორე მუხლმა, რომელშიც მოცემულია ტერმინთა განმარტებები, მოიცვა ყველა ის ტერმინი, რომელიც აუცილებელია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებისთვის და არ არის ასახული მოქმედ კოდექსში. აღნიშნული ტერმინები შესაბამისობაშია მოყვანილი N1774/202 დირექტივასთან, „მიწისზედა ცხოველების სანიტარულ კოდექსთან“, მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის სამდივნოს მიერ შედგენილ ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო ISPM სტანდარტებთან.

დაიხვეწა რისკის ანალიზის-შეფასების, მართვის, კომუნიკაციის პროცედურების განხორციელების მექანიზმები.

ამასთან, კანონის პროექტში, 178/2002 დირექტივის შესაბამისად, კოდექსს დაემატა 10<sup>1</sup> მუხლი და განისაზღვრა საკითხი მომხმარებელთა ინტერესების დაცვის შესახებ, რომლის მიხედვით, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს სურსათი/ცხოველის საკვებთან, ცხოველთან, მცენარესთან, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტთან, ვეტერინარულ პრეპარატთან, პესტიციდსა და აგროქიმიკატთან დაკავშირებული აუცილებელი, უტყუარი, სრული ინფორმაცია, რაც მას სწორი არჩევნის საშუალებას მისცემს, მომხმარებელი დაცული უნდა იქნეს მოტყუებისა და შეცდომაში შეყვანის მცდელობისაგან, ასევე, დაუშვებელია სურსათის/ ცხოველის საკვების იმგვარი ეტიკეტირება, რეკლამა ან წარდგენა (მათ შორის დაფასოება, შეფუთვა, განთავსება),



რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი სურსათის/ცხოველის საკვების ნამდვილ ბუნებასთან, მის შემადგენლობასთან, თვისებებთან ან სხვა მახასიათებლებთან დაკავშირებით, აღკვეთილი ან/და თავიდან აცილებული უნდა იქნეს ყველა სხვა ქმედება, რომელსაც შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, სააგენტოს მიერ ხორციელდება სურსათის/ცხოველის საკვებთან, ცხოველთან, მცენარესთან, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტთან, ვეტერინარულ პრეპარატთან, პესტიციდსა და აგროქიმიკატთან დაკავშირებული, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და ბიზნესოპერატორის მიერ დეკლარირებული ინფორმაციის შესაბამისობის დადგენა და სააგენტოს მიერ ხორციელდება შეტყობინებებზე რეაგირება.

კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება შევიდა კოდექსის მე-3 თავში და განისაზღვრა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მოთხოვნები.

კოდექსის მე-13 მუხლში შეტანილი ცვლილების მიხედვით, ცვლილებები შეეხო, ბიზნესოპერატორად რეგისტრაციას. კერძოდ, დამატებულია ბიზნესოპერატორის აღიარების განხორციელების პროცედურა, რომელიც შესაბამისობაში იქნა მოყვანილი EC 854/2004 რეგულაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და აღიარების პროცედურა დარეგულირდება შესაბამისი ნორმატიული აქტით.

კოდექსს დაემატა მე-3<sup>1</sup> თავი, რომლის მიხედვით, გაიმიჯნა და დაიხვეწა ბიზნესოპერატორის ვალდებულებები სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში.

პროექტის მიხედვით, მე-17 და 17<sup>1</sup> მუხლებით გაიმიჯნა მიკვლევადობისადმი და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

პროექტის შესაბამისად, ცვლილება შევიდა კოდექსის მე-18 მუხლში, რომლის მიხედვით, კოდექსის რეგულირების სფეროში მოექცა ცხოველის, მცენარის, მცენარეული და ცხოველური პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის და აგროქიმიკატის ეტიკეტირების საკითხი. ასევე, ცვლილების შესაბამისად, დაუშვებელია სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტზე ან თანდართულ დოკუმენტებში ტერმინების - „ბიოლოგიური“, „ეკოლოგიური“, „ეკო“, „ბიო“, „ორგანული“ ნებისმიერი კომბინაციის მითითება, თუ იგი არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ბიოწარმოების წესებს და ეს შესაბამისობა არ დასტურდება შესაბამისობის სერტიფიკატით.

პროექტის შესაბამისად, ცვლილება შევიდა კოდექსის მე-19-22-ე მუხლებში, რომელიც ეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს.

პროექტის მიხედვით, კოდექსს დაემატა 22<sup>1</sup> მუხლი და განისაზღვრა სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის პრინციპი,

რომელიც მოიცავს მცენარეთა კარანტინის და ვეტერინარული კარანტინის დროს საკარანტინო მავნე ორგანიზმების და დაავადებების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის მიზნით კარანტინის ან სხვა შეზღუდვების დაწესებას, მოხსნას და მის გატარებაში ხელშეწყობას; ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობას; არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობას. აღნიშნული არ გულისხმობს რაიმე უფლებამოსილების დელეგირებას თვითმმართველობის ორგანოებზე, შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს არ წარმოეშობათ ფინანსური ვალდებულებები.

კანონპროექტის მიხედვით, ცვლილება შევიდა კოდექსის 25-ე და 26-ე მუხლებში, ასევე, კოდექსს დაემატა 26<sup>1</sup>, 26<sup>2</sup> და 26<sup>3</sup> მუხლები, რომლითაც დაიხვეწა და ერთმანეთისგან გაიმიჯნა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის სახეები და მექანიზმები.

კოდექსიდან ამოღებული იქნა მე-6-მე-10 თავები, რომელიც ეხება ინსპექტირების, ზედამხედველობის, მონიტორინგის, ნიმუშის აღებისა და დოკუმენტური შემოწმების პროცედურებს და აღნიშნული საკითხი დარეგულირდება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

ცვლილებები შევიდა კოდექსის 48-ე მუხლში, რომლითაც დაიხვეწა ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდისა და აგროქიმიკატის რეგისტრაციის აღიარების პროცედურები.

49-ე მუხლი ჩამოყალიბდა დაიხვეწა.

ცვლილება შევიდა კოდექსის 52-ე მუხლში და კრიზისული მდგომარეობის მართვის პროცედურები შეეხო ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებსაც.

კოდექსის 53-ე-55-ე მუხლები დაიხვეწა რედაქციულად და შესაბამისად, ამოღებული იქნა 56-ე მუხლი.

კანონის პროექტით კოდექსს დაემატა მე-13<sup>1</sup> თავი, რომლითაც რეგულირდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც არის სურსათი/ცხოველის საკვების, მცენარის, ცხოველის, მცენარეული და ცხოველური პროდუქტის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის ექსპორტ-იმპორტის და რეექსპორტის მოთხოვნები. კერძოდ, ექსპორტისათვის განკუთვნილი სურსათი/ცხოველის საკვები, მცენარე, ცხოველი, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ვეტერინარული პრეპარატი, პესტიციდი, აგროქიმიკატი უნდა აკმაყოფილებდეს იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნებს, რაზედაც სააგენტო და სამსახური გასცემს შესაბამის ჰიგიენურ (ჯანმრთელობის), ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ სერტიფიკატებს. საქართველოში იმპორტირებული სურსათი და ცხოველის საკვები, ცხოველი, მცენარე, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ასევე, ვეტერინარული კონტროლისადმი და ფიტოსანიტარიული კონტროლისადმი დაქვემდებარებული პროდუქცია, უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საქართველოს ტერიტორიაზე შემოსაყვანი ცხოველი, შემოსატანი მცენარე, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ვეტერინარული კონტროლისადმი და ფიტოსანიტარიული კონტროლისადმი დაქვემდებარებული პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და მისი იმპორტისათვის სააგენტო და სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით, გასცემს ნებართვას. საქართველოდან რეექსპორტირებული სურსათი და ცხოველის საკვები, ცხოველი, მცენარე, მცენარეული და ცხოველური პროდუქტი, ასევე ვეტერინარულ კონტროლისადმი და ფიტოსანიტარიულ კონტროლისადმი დაქვემდებარებული პროდუქცია, უნდა შეესაბამებოდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა რამ მოითხოვება მიმღები ქვეყნის მიერ.

ამასთან, ცვლილებები შევიდა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის მუხლები. კერძოდ: კოდექსის 64-ე მუხლით განისაზღვრა პასუხისმგებლობა ბიზნესოპერატორის აღიარების გარეშე საქმიანობისთვის; რედაქციული ცვლილება განხორციელდა 65-ე მუხლში, რომელიც ეხება სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად ან ბაზრიდან გამოთხოვასთან დაკავშირებით ბიზნესოპერატორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობას; კოდექსის 66-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით, გაიზარდა ჯარიმების ოდენობა, ასევე, ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ხორცის რეალიზაციისთვის განისაზღვრა პასუხისმგებლობა - დაჯარიმება 1000 ლარის ოდენობით და ხორცის ბაზარზე განთავსების აღკვეთას ან/და ბაზარზე უკვე განთავსებული ხორცის გამოთხოვის სახით.

ამავე მუხლს დაემატა მე-5 ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს 150 ლარის ოდენობით დაჯარიმებას ცხოველთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევისთვის 2020 წლის პირველი იანვრიდან.

კოდექსში იცვლება 74<sup>1</sup> მუხლი, რომელიც ითვალისწინებს დაჯარიმებას ბიზნესოპერატორის მიერ ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის

რედაქციული ცვლილებები შევიდა კოდექსის 68-ე მუხლში, ასევე, ისეთი შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, რომლის დროსაც აღმოჩენილია ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მავნე სურსათი/ცხოველის საკვები და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შეუძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე, ან განმეორებით რეკომენდაციების შეუსრულებლობა, ცვლილების შესაბამისად, იწვევს საწარმოო პროცესის შეჩერებას.

კოდექსის 69-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და განისაზღვრა პასუხისმგებლობა ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დარღვევისათვის, ვინაიდან კოდექსის 22-ე მუხლით სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების კონტროლი.

რედაქციულად შესწორდა კოდექსის 70-ე მუხლი.

ამოღებული იქნა 72-ე-74-ე მუხლები.

ცვლილება შევიდა კოდექსის გარდამავალ და დასკვნით დებულებებში, რომლითაც განისაზღვრა, მისაღები ნორმატიული აქტები და მიღების ვადები, ასევე, ამ კანონის პროექტით გათვალისწინებული ცალკეული მუხლების ამოქმედების ვადები.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან ფართოვდება იმ სუბიექტთა ჩამონათვალი, რომელთა ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია გახდება სავალდებულო. რეგისტრაციის საფასური არის 10 ლარი.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტი გამოიწვევს ფინანსურ შედეგს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონის მოქმედება. ვინაიდან, კანონპროექტი ითვალისწინებს ახალ სამართალდარღვევებს, რომელთა ჩადენისთვის გათვალისწინებულია საჯარიმო სანქციები, ამასთან, კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი სამართალდარღვევის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა იზრდება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტის თანახმად, ფართოვდება იმ სუბიექტთა ჩამონათვალი, რომელთა ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია გახდება სავალდებულო. რეგისტრაციის საფასური იქნება 10 ლარი.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდა სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:**

შეფასება არ არის.

**დ.ბ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

**დ.გ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.

## სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის

### კოდექსის მუხლების მოქმედი რედაქცია

#### მუხლი 1. კოდექსის მიზანი და რეგულირების სფერო

1. ამ კოდექსის მიზანია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა, სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

2. ეს კოდექსი ვრცელდება სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებაზე, გადამუშავებასა და დისტრიბუციაზე, რომლებიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე პირველად წარმოებაზე, ცხოველთა ჯანმრთელობაზე, ვეტერინარულ პრეპარატებზე, მცენარეთა სიჯანსაღეზე, პესტიციდებსა და აგროქიმიკატებზე.

3. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი, ვეტერინარული კონტროლი და ფიტოსანიტარიული კონტროლი, რომლებიც უკავშირდება საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებას (იმპორტი, რეექსპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი), რეგულირდება ამ კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

4. ეს კოდექსი არეგულირებს და განსაზღვრავს:

- ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს;
- ბ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების სახელმწიფო კონტროლის სახეებს და მისი განხორციელების მექანიზმებს;
- გ) სურსათის/ცხოველის საკვების, ასევე პირველადი წარმოების მიკვლევადობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;
- დ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროების სახელმწიფო კონტროლზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციებს;
- ე) ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს;
- ვ) ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის ძირითად მოთხოვნებსა და პირობებს;
- ზ) საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარ

+

#### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) სურსათი – ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამუშავებული ან გადამუშავებელი პროდუქტი. სურსათი ასევე მოიცავს: ყველა სახის სასმელს (მათ შორის, სასმელ წყალს), სალექ რეზინსა და სურსათში გამოსაყენებელ ნებისმიერ ნივთიერებას (წყლის ჩათვლით),

რომელიც გამოიყენება სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს: ცხოველის საკვებს, ცოცხალ ცხოველებს, მცენარეებს (მოსავლის აღებამდე), პრეპარატებს ან სამკურნალო საშუალებებს, კოსმეტიკას, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებს, სხვადასხვა ნარჩენსა და დამაბინძურებელს;

ბ) პირველადი წარმოება – პროცესი, რომელიც მოიცავს: მცენარის მოყვანას, მოსავლის აღების, ნაყოფის კრეფის ჩათვლით; ცხოველის გაზრდას, მოშენებას დაკვლამდე, აგრეთვე რძის წველას. პირველადი წარმოება ასევე მოიცავს ნადირობას, თევზჭერას და ველური მცენარეების შეგროვებას;

გ) პირველადი პროდუქტი – ადამიანის ან ცხოველის საკვებად განკუთვნილი პროდუქტი, რომელიც მიღებულია პირველადი წარმოებიდან გადამუშავებამდე, მათ შორის, ნიადაგიდან, ცხოველის მოშენების, ნადირობის ან თევზჭერის შედეგად;

დ) ცხოველის საკვები – სურსათის საწარმოებლად განკუთვნილი ცხოველის საკვებად გამოსაყენებელი ნებისმიერი გადამუშავებული ან გადამუშავებელი ნივთიერება ან პროდუქტი, საკვებდანამატის ჩათვლით;

ე) სურსათის საწარმოებლად განკუთვნილი ცხოველი (შემდგომ – ცხოველი) – ყველა სახის ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი, წყალხმელეთა ძუძუმწოვარი, ამფიბია, კიბოსნაირი, მოლუსკი, საინკუბაციო კვერცხი, განაყოფიერებული ქვირითი, რომლებიც გამოიყენება სურსათის საწარმოებლად;

ვ) სურსათის საწარმოებლად განკუთვნილი მცენარე (შემდგომ – მცენარე) – ცოცხალი მცენარეები და მათი ნაწილები, თესლის ჩათვლით, რომლებიც გამოიყენება სურსათის საწარმოებლად;

ზ) სახელმწიფო კონტროლი – უფლებამოსილი პირის ქმედება, რომელიც ხორციელდება ბიზნესოპერატორის მიმართ, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად. სახელმწიფო კონტროლის სახეებია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი, ვეტერინარული კონტროლი და ფიტოსანიტარიული კონტროლი;

თ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი – ქმედება, რომელიც ხორციელდება ბიზნესოპერატორის მიმართ, სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;

ი) ვეტერინარული კონტროლი – ქმედება, რომელიც ხორციელდება ბიზნესოპერატორის მიმართ, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით;

კ) ფიტოსანიტარიული კონტროლი – ქმედება, რომელიც ხორციელდება ბიზნესოპერატორის მიმართ, მცენარეთა მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის მიზნით;

ლ) უფლებამოსილი პირი – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი პირი;

მ) გადამუშავება – ნებისმიერი პროცესი, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის პირველად პროდუქტს, მათ შორის, გაცხელება, შებოღვა, დაკონსერვება, გამოშრობა, დამარილება, გამოწურვა ან ამ პროცესთა ნებისმიერი კომბინაცია;

ნ) გადაუმუშავებელი სურსათი/ცხოველის საკვები – პროდუქტი, რომელსაც არ გაუვლია გადაუმუშავება და რომელიც დაიკლა, დაიჩეხა, დაიჭრა ნაჭრებად, გამოეცალა ძვლები, გატყავდა, დაქუცმაცდა, გაიწმინდა, მოიჭრა, მოსცილდა ხაოიანი ნაწილი, გაცივდა, გაიყინა, სწრაფად გაიყინა ან გალღვა;

ო) გადაუმუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები – პროდუქტი, რომელიც მიიღება გადაუმუშავებელი სურსათის/ცხოველის საკვების გადამუშავების შედეგად. გადაუმუშავებული სურსათი/ცხოველის საკვები შეიძლება შეიცავდეს ინგრედიენტებს, რომლებიც აუცილებელია მის საწარმოებლად ან მისთვის სპეციფიკური თვისებების მისანიჭებლად;

პ) საკვებდანამატი – ნივთიერება, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არ გამოიყენება სურსათად/ცხოველის საკვებად, მაგრამ ემატება სურსათს/ცხოველის საკვებს წარმოების, გადამუშავებისა და შენახვის დროს, რის შედეგადაც ეს ნივთიერება სურსათის/ცხოველის საკვების ინგრედიენტი ხდება;

ჟ) მავნე სურსათი/ცხოველის საკვები – სურსათი/ცხოველის საკვები, რომელიც არ შეესაბამება სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს;

რ) ბიზნესოპერატორი – მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებულია სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნესოპერატორად და პასუხისმგებელია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან ან/და დისტრიბუციასთან, ასევე პირველად წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის;

ს) წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპები – პროცესის ყოველი ეტაპი, სურსათის/ცხოველის საკვების იმპორტის, პირველადი წარმოების, გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდების ჩათვლით;

ტ) ტრადიციული მეთოდი – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, გადამუშავება ან/და დისტრიბუცია, ასევე პირველადი წარმოება ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული მეთოდების გამოყენებით, ტრადიციული ადგილობრივი ფერმერული მეურნეობებისა და სხვა ტრადიციული სამეურნეო საქმიანობების ჩათვლით;

უ) მაღალმთიანი რეგიონი – გეოგრაფიული არეალი, რომელიც შეესაბამება „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მაღალმთიანი რეგიონის ცნებას;

ფ) ოჯახური წარმოება – სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება ან/და პირველადი წარმოება არაორგანიზებულად ან/და პირადიმომხმარებლის მიზნით;

ქ) ოჯახური წარმოების სუბიექტი – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებას ან/და პირველად წარმოებას არაორგანიზებულად ან/და პირადი მოხმარების მიზნით;

ღ) მცირე ბიზნესი – ბიზნესოპერატორი, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 000 ლარს;



ე) ბაზარზე განთავსება – სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან/და აგროქიმიკატის საბოლოო მომხმარებლისათვის მიწოდება მისი რეალიზაციის გზით;

შ) საცალო ვაჭრობის პუნქტი – სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან/და აგროქიმიკატის სარეალიზაციოდ განკუთვნილი ობიექტი, რომელიც ახორციელებს საბოლოო მომხმარებლისათვის მისმიწოდებას;

ჩ) საბოლოო მომხმარებელი – მომხმარებელი, რომელიც სურსათს/ცხოველის საკვებს, ცხოველს, მცენარეს, ვეტერინარულ პრეპარატს, პესტიციდს ან/და აგროქიმიკატს სარეალიზაციოდ არ იყენებს;

ც) საფრთხე – სურსათში/ცხოველის საკვებში, ცხოველში ან მცენარეში ისეთი ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური აგენტის არსებობა, რომელმაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს, მცენარის სიჯანსაღეს;

ძ) რისკი – საფრთხიდან გამომდინარე, ადამიანის, ცხოველის ჯანმრთელობაზე, მცენარის სიჯანსაღეზე მავნე ზემოქმედების ალბათობა;

წ) ინსპექტირება – სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმი, რომელიც მოიცავს პირველადი წარმოების, სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე ბიზნესოპერატორის ადგილზე შემოწმებას სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დასადგენად;

ჭ) ნიმუშის აღება – ქმედება, რომელიც მოიცავს მონიტორინგის, ზედამხედველობისა და ინსპექტირების დროს სურსათიდან/ცხოველის საკვებიდან, ცხოველიდან, მცენარიდან, ვეტერინარული პრეპარატიდან, ნიადაგიდან, პესტიციდიდან ან აგროქიმიკატიდან ნიმუშის აღებას;

ხ) საინსპექციო ორგანო – მეწარმე სუბიექტი, რომელიც აკრედიტებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ და ახორციელებს გეგმურ ინსპექტირებას;

ჯ) ვეტერინარი ექიმი – ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული, შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ჰ) ვეტერინარი ტექნიკოსი – პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიული დიპლომი ან სერტიფიკატი;

ჰ<sup>1</sup>) მიკვლევადობა – სურსათის/ცხოველის საკვების, მასში გამოსაყენებლად განკუთვნილი ნებისმიერი ნივთიერების, ასევე სურსათის საწარმოებლად განკუთვნილი ცხოველისა და მცენარის შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის დადგენის შესაძლებლობა მათი წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე;

ჰ<sup>2</sup>) პარტია – ერთი სახეობისა და დასახელების სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან აგროქიმიკატის იდენტიფიცირებადი რაოდენობა,

გამომწვეული ერთი და იმავე ბიზნესოპერატორისმიერ, ერთი და იმავე ცვლის დროს, და გაფორმებული ერთნაირი ეტიკეტით;

3<sup>3</sup>) ეტიკეტი – სურსათთან/ცხოველის საკვებთან, ვეტერინარულ პრეპარატთან, პესტიციდთან ან აგროქიმიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, სავაჭრო ნიშანი, დასახელება, ილუსტრაცია ან სიმბოლო, განთავსებული შეფუთვაზე, სურსათი ს/ცხოველის საკვების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის ან აგროქიმიკატის თანდართულ ან მასთან დაკავშირებულ დოკუმენტზე;

3<sup>4</sup>) ორგანოლეპტიკური მახასიათებლები – მახასიათებლები, რომლებიც ადამიანის გრძნობის ორგანოებით აღიქმება (შესახედაობა, ფერი, გემო, სუნი, კონსისტენცია და სხვა);

3<sup>5</sup>) შეუსაბამობა – სურსათის/ცხოველის საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ბიზნესოპერატორის საქმიანობის შეუსაბამობა ( არაკრიტიკული ან კრიტიკული) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან;

3<sup>6</sup>) არაკრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომელიც პირდაპირ საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შესაძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე;

3<sup>7</sup>) კრიტიკული შეუსაბამობა – შეუსაბამობა, რომლის დროსაც აღმოჩენილია ადამიანის ან/და ცხოველის სიცოცხლი სა და ჯანმრთელობისათვის მავნე სურსათი/ცხოველის საკვები და რომლის სათანადო დონემდე შემცირება ან აღმოფხვრა შეუძლებელია კონკრეტული საწარმოო პროცესის დროებით შეჩერების გარეშე;

3<sup>8</sup>) სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამა – პროგრამა, რომელიც მოიცავს წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო კონტროლის სახეებს, მისი განხორციელების მექანიზმებს და რაოდენობას;

3<sup>9</sup>) გონივრული ვადა – პერიოდი, რომელიც დგინდება ბიზნესოპერატორისა და ინსპექტირების უფლებამოსილების მქონე პირის შეთანხმების საფუძველზე და საჭიროა რეკომენდაციით განსაზღვრული ხარვეზის გამოსასწორებლად;

3<sup>10</sup>) აკრედიტებული ლაბორატორია – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც შეტანილია აკრედიტაციის სისტემის სახელმწიფო რეესტრში, ან საერთაშორისო (მათ შორის, სხვა ქვეყნების) აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია;

3<sup>11</sup>) დასაბუთებული ეჭვი – პროდუქტიდან აღებული ნიმუშის ლაბორატორიული გამოცდის შედეგი ს ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პროდუქტი უვნებელი არ არის;

3<sup>12</sup>) დაავადება – ინფექციის კლინიკური ან/და პათოლოგიური გამოვლინება, ასევე სხვადასხვა ზემოქმედების საპასუხოდ ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების (ცხოველმყოფელობის) დარღვევა;

3<sup>13</sup>) ინფექცია – ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში პათოგენური აგენტის შეჭრა და განვითარება ან გამრავლება;

3<sup>14</sup>) დასნებოვნებული ზონა – ზონა, რომელშიც დადასტურებულია გადამდები ან ზოონოზური დაავადების ან მისი აღმძვრელის არსებობა;

3<sup>15</sup>) ეპიზოოტია – გადამდები დაავადებით ერთდროულად მრავალი ცხოველის დასენიანება განსაზღვრულ ტერიტორიაზე, დროის გარკვეულ მონაკვეთში;

3<sup>16</sup>) გადამდები დაავადება – ისეთი ინფექციური ან ინვაზიური დაავადება, რომელიც ცხოველიდან ცხოველს გადაეცემა;

3<sup>17</sup>) ზოონოზური დაავადება – ისეთი ინფექციური ან ინვაზიური დაავადება, რომელიც ცხოველიდან ადამიანს გადაეცემა;

3<sup>18</sup>) ეგზოტიკური დაავადება – გადამდები ან ზოონოზური დაავადება, რომელიც საქართველოში არასდროს ან დიდი ხნის განმავლობაში არ დაფიქსირებულა და შემოტანილია სხვა ქვეყნიდან;

3<sup>19</sup>) ვეტერინარული პრეპარატი – ბიოლოგიური ან ქიმიურ-ფარმაცევტული საშუალება, რომელიც გამოიყენება ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკისათვის, დიაგნოსტიკისათვის და სამკურნალოდ ან ფიზიოლოგიური ფუნქციების აღსადგენად, გასაუმჯობესებლად და შესაცვლელად;

3<sup>20</sup>) ვეტერინარული პრეპარატის რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – პროცესი, რომელიც მოიცავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) მიერ ექსპერტიზისა და სარეგისტრაციო გამოცდის საფუძველზე სარეგისტრაციო მოწმობის გაცემას და ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეესტრში შეტანას;

3<sup>21</sup>) ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმი – რეჟიმი, რომელიც გამოიყენება იმ ვეტერინარული პრეპარატის მიმართ, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულმა სხვა ქვეყნის ან სახელმწიფოთაშორისმა ვეტერინარული პრეპარატის მარეგულირებელმა სახელმწიფო ორგანომ დაუშვა შესაბამის ბაზარზე;

3<sup>22</sup>) ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი – რეგულირებადი ობიექტის ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ფიტოსანიტარიული პროცედურების შედეგად გაიცემა მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციით (IPPC) დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

3<sup>23</sup>) სურსათისა და სურსათთან დაკავშირებული ტარის ჰიგიენური სერტიფიკატი – სურსათის/სურსათთან დაკავშირებული ტარის უვნებლობის ჰიგიენურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3<sup>24</sup>) ვეტერინარული სერტიფიკატი – ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) კოდექსების შესაბამისად, წარმოშობის ქვეყნის ან/და ექსპორტიორი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, ვეტერინარული კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

3<sup>25</sup>) შესაბამისობის შეფასების აქტი – სააგენტოს ან საინსპექციო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეიცავდეს

ბიზნესოპერატორის შემოწმების შედეგებს და მისი საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასების მონაცემებს;

3<sup>26</sup>) შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი – სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ბიზნესოპერატორის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

3<sup>27</sup>) პესტიციდი – მცენარეთა დაცვის საშუალება, რომელიც შეიძლება იყოს ქიმიური, ბიოლოგიური ან მცენარეული წარმოშობის;

3<sup>28</sup>) აგროქიმიკატი – ყველა სახის სასუქი, მელიორანტები, აგრომადნეულები, რომლებიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა გასანოყიერებლად და ნიადაგის გასაუმჯობესებლად;

3<sup>29</sup>) მელიორანტები და აგრომადნეულები – ბუნებრივი ნაერთები, წარმოების ნარჩენები, რომლებიც გამოიყენება ნიადაგის ქიმიურ-ფიზიკური და ბიოლოგიური თვისებების გასაუმჯობესებლად;

3<sup>30</sup>) კარანტინი – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია გადამდები და ზოონოზური დაავადებების ან საკარანტინო მავნე ორგანიზმებისა და მავნებლების გამოვლენისკენ ან/და თავიდან აცილებისკენ, ასევე გარკვეულ მოქმედებათა შეზღუდვა ან/და სავარაუდოდ დაავადების მქონე ობიექტის განცალკევება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცხოველთა და ადამიანთა ინფექციებისა და მავნებლების გავრცელება;

3<sup>31</sup>) საკარანტინო ზონა – გეოგრაფიული არეალი, რომელშიც არსებობს ინფიცირებული ან სავარაუდოდ ინფიცირებული ცხოველი და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, ასევე ზონა, რომელშიც არსებობს საკარანტინო მავნე ორგანიზმი და ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მის აღმოსაფხვრელად;

3<sup>32</sup>) მცენარეთა კარანტინი – ღონისძიება ან ღონისძიებათა ერთობლიობა საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

3<sup>33</sup>) ვეტერინარული კარანტინი – ღონისძიება ან ღონისძიებათა ერთობლიობა გადამდები ან ზოონოზური დაავადებების საქართველოში გამოვლენის ან/და გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

3<sup>34</sup>) ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტი – ნებისმიერი მცენარე, მცენარეული პროდუქტი, დასაწყობების ადგილი, შეფუთვა, სატრანსპორტო საშუალება, კონტეინერი, ნიადაგი, ან სხვა ორგანიზმი, ობიექტი ან მასალა, რომელშიც შესაძლებელია მავნე ორგანიზმის არსებობა ან რომელიც ხელს უწყობს მის გავრცელებას, რომლის მიმართ აუცილებელია ფიტოსანიტარიული ზომების მიღება, განსაკუთრებით საერთაშორისო გადაზიდვის შემთხვევაში;

3<sup>35</sup>) ვეტერინარული საკარანტინო ობიექტი – სავარაუდოდ დაავადების მქონე ან უკვე დაავადებული ცხოველი, მისი განთავსებისა და შენახვის ადგილი და ტერიტორია, სავარაუდოდ ინფიცირებული ან უკვე ინფიცირებული ცხოველური წარმოშობის სურსათი/ცხოველის საკვები, ნედლეული;

3<sup>36</sup>) ცხოველთა საკარანტინო დაავადება – დაავადება, რომელიც ხასიათდება სწრაფი და ფართო გავრცელებით, მაღალი ავადობით ან სიკვდილიანობით, ან დიდი სოციალურ-ეკონომიკური ზარალით;

3<sup>37</sup>) მავნე ორგანიზმი – მცენარეებისათვის ან მცენარეული პროდუქტებისათვის მავნე მცენარის, ცხოველის ან პათოგენური აგენტის ნებისმიერი სახეობა, სახესხვაობა ან ბიოტიპი. მავნე ორგანიზმი შეიძლება იყოს საკარანტინო ან არასაკარანტინო;

3<sup>38</sup>) საკარანტინო მავნე ორგანიზმი – მავნებელი, მცენარეთა დაავადების გამომწვევი აგენტი ან/და სარეველა, რომელიც არ არის ან შეზღუდულადაა გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე და საფრთხეს უქმნის მცენარეთა სიჯანსაღეს;

3<sup>39</sup>) არასაკარანტინო მავნე ორგანიზმი – მავნე ორგანიზმი, რომლის არსებობა სარგავ ან სათესლე მასალაში იძლევა ეკონომიკურად არასასურველ ეფექტს შესაბამისი მცენარის გამიზნული გამოყენების შემთხვევაში, რის გამოც იგი რეგულირდება ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე იმპორტირებისას;

3<sup>40</sup>) პესტიციდისა და აგროქიმიკატის რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმით – პესტიციდისა და აგროქიმიკატის რეგისტრაციის პროცესი დოსიეს შემოწმების, სამეცნიერო-კომპლექსური ექსპერტიზისა და სარეგისტრაციო გამოცდის საფუძველზე;

3<sup>41</sup>) პესტიციდისა და აგროქიმიკატის რეგისტრაცია სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმით – პესტიციდისა და აგროქიმიკატის რეგისტრაციის პროცესი დოსიეს შემოწმების საფუძველზე.

#### **მუხლი 4. რისკის ანალიზის პრინციპი**

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული ზომები და ქმედებები უნდა ეფუძნებოდეს რისკის ანალიზს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შექმნილი განსაკუთრებული გარემოებები არ იძლევა ამის შესაძლებლობას.
2. რისკის ანალიზი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს: რისკის შეფასებას, რისკის კომუნიკაციას და რისკის მართვას. რისკის ანალიზი შეიძლება ასევე მოიცავდეს ამ კოდექსის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ დამატებით ღონისძიებებს.

+

#### **მუხლი 5. რისკის შეფასება**

1. რისკის შეფასება მოიცავს ოთხ საფეხურს: საფრთხის იდენტიფიცირებას, საფრთხის აღწერას, საფრთხის გამოვლენის შეფასებას და რისკის დახასიათებას და ეფუძნება მეცნიერულად (ანალიტიკურად) დასაბუთებულ შედეგებსა და მონაცემებს.
2. რისკის შეფასება ხორციელდება დამოუკიდებლად, ობიექტურად და გამჭვირვალედ.

+

#### **მუხლი 7. რისკის მართვა**

1. რისკის მართვა არის რისკის შეფასებისაგან განსხვავებული პროცესი, რომლის დროსაც რისკის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, საფრთხეების და რისკების შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით მიიღება გადაწყვეტილება სათანადო ალტერნატივის შერჩევის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში რისკის მართვა ასევე მოიცავს სათანადო პრევენციული ზომების შერჩევას.

2. რისკის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამაფრთხილებელი ზომების მიღება წარმოქმნილი რისკების შემცირების, აღმოფხვრის ან თავიდან აცილების მიზნით. ეს ზომები ეფექტიანი, ობიექტური და ადეკვატური უნდა იყოს.

+

#### მუხლი 8. რისკის ანალიზთან დაკავშირებული დამატებითი ღონისძიებები

შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რისკის ანალიზთან დაკავშირებული შემდეგი დამატებითი ღონისძიებები:

- ა) შესაძლო საფრთხესთან დაკავშირებით კომპეტენტური სამეცნიერო დასკვნის წარდგენა საქართველოს მთავრობის, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთათვის;
- ბ) რისკის შეფასებისა და სახელმწიფო კონტროლის მეთოდოლოგიის შემუშავების ხელშეწყობა და კოორდინირება;
- გ) სამეცნიერო და ტექნიკური მონაცემების მოკვლევა, შეგროვება, აღრიცხვა და ანალიზი;
- დ) ახალი საფრთხეების იდენტიფიცირება და აღწერა;
- ე) დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ვ) მეცნიერული და საექსპერტო დახმარება საგანგებო ვითარების დროს ამ კოდექსის 51-ე მუხლის შესაბამისად საგანგებო ზომების მიღებისას.

#### მუხლი 9. პრევენციის პრინციპი

- 1. შესაძლებელია რისკის მართვის დროებითი ზომების მიღება განსაკუთრებული გარემოების დროს, როდესაც არსებული ინფორმაციის საფუძველზე არსებობს ეჭვი ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასთან ან მცენარის სიჯანსაღესთან დაკავშირებული საფრთხის არსებობის შესახებ, ამასთანავე, ვერ ხერხდება ამ ინფორმაციის მეცნიერულად (ანალიტიკურად) დასაბუთება.
- 2. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მიღებული ზომები საფრთხის პროპორციული უნდა იყოს.

+

#### მუხლი 10. გამჭვირვალობის პრინციპი

1. რისკის მართვის ზომების შემუშავების, განხილვისა და შეფასების პროცესი არის საჯარო, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

2. რისკის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ამ რისკის ხასიათიდან, მასშტაბიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, სააგენტო ვალდებულია საზოგადოებას მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობაზე ან მცენარის სიჯანსაღეზე რისკის გავლენის და რისკის შემცველი პროდუქტის შესახებ, ასევე იმ ზომების თაობაზე, რომლებიც მიიღება ამ რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად.

### თავი III. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნები

+

#### მუხლი 11. სურსათის უვნებლობის მოთხოვნები

1. ბიზნესოპერატორს უფლება აქვს, ბაზარზე განათავსოს სურსათი, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

2. სურსათი მიიჩნევა უვნებლად, თუ იგი ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიშრო არ არის.

3. სურსათის უვნებლობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა) სურსათის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის, ასევე პირველადი წარმოების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

ბ) საბოლოო მომხმარებლის მიერ სურსათის დანიშნულებისამებრ გამოყენება;

გ) განსაკუთრებული კატეგორიის მომხმარებლის ჯანმრთელობაზე სურსათის ზეგავლენის დონე, თუ ეს სურსათი სპეციალური კატეგორიის მომხმარებლისთვისაა განკუთვნილი.

4. თუ სურსათი ვერ აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს, ამ სურსათის მთელი პარტია მიიჩნევა მავნედ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტიის დეტალური შემოწმებისას დადასტურდება, რომ პარტიის დანარჩენი ნაწილი აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

5. სურსათის დოკუმენტურად დასაბუთებული შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან არ გამორიცხავს სააგენტოს მიერ სათანადო ზომების მიღებას ბაზარზე მისი განთავსების შეზღუდვასთან/აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან დაკავშირებით, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ, სურსათის უვნებლობის დადგენილ მოთხოვნებთან დოკუმენტურად დასაბუთებული შესაბამისობის მიუხედავად, სურსათი უვნებელი არ არის.

+

#### მუხლი 12. ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნები

1. ცხოველის საკვები არ უნდა იქნეს ბაზარზე განთავსებული ან ცხოველის საკვებად გამოყენებული, თუ იგი უვნებელი არ არის.
2. ცხოველის საკვები, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს, მიიჩნევა უვნებლად.
3. ცხოველის საკვები მიიჩნევა მავნედ დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის, თუ:
  - ა) ეს საკვები საზიანოა ცხოველის ჯანმრთელობისათვის;
  - ბ) ამ საკვებით გამოკვებილი ცხოველისაგან მიღებული სურსათი მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის.
4. თუ ცხოველის საკვები ვერ აკმაყოფილებს ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს, ამ ცხოველის საკვების მთელი პარტია მიიჩნევა მავნედ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პარტიის დეტალური შემოწმებისას დადასტურდება, რომ პარტიის დანარჩენი ნაწილი აკმაყოფილებს ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებს.
5. ცხოველის საკვების დოკუმენტურად დასაბუთებული შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ცხოველის საკვების უვნებლობის მოთხოვნებთან არ გამოიცხადებს სააგენტოს მიერ სათანადო ზომების მიღებას ბაზარზე მისი განთავსების შეზღუდვასთან/აკრძალვასთან ან ბაზრიდან მის ამოღებასთან დაკავშირებით, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ, ცხოველის საკვების უვნებლობის დადგენილ მოთხოვნებთან დოკუმენტურად დასაბუთებული შესაბამისობის მიუხედავად, ცხოველის საკვები უვნებელი არ არის.

#### მუხლი 13. ბიზნესოპერატორად რეგისტრაცია

პირი, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან ან/და დისტრიბუციასთან, ასევე პირველად წარმოებასთან, ვალდებულია დარეგისტრირდეს ბიზნესოპერატორად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

+

#### მუხლი 14. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორი თავისი საქმიანობის ფარგლებში ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის/ცხოველის საკვების შესაბამისობა ამ კოდექსისა და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.



2. თუ ბიზნესოპერატორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მის მიერ იმპორტირებული, წარმოებული, გადამამუშავებული, სადისტრიბუციო ან ბაზარზე განთავსებული სურსათი/ცხოველის საკვები მავნებელია ადამიანის/ცხოველის ჯანმრთელობისათვის, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები ამ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად ან ბაზარზე უკვე განთავსებული სურსათის/ცხოველის საკვების გამოსათხოვად.

3. ბიზნესოპერატორი ვალდებულია მის მიერ ბაზარზე განთავსებული მანე სურსათის/ცხოველის საკვების გამოთხოვის და ამ მიზნით მიღებული ზომების თაობაზე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს სააგენტოს.

+

#### მუხლი 15. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები ცხოველის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორი, რომელიც ეწევა ცხოველის მოშენებას ან/და დაკვლას, ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვეტერინარულ კონტროლთან დაკავშირებული შემდეგი მოთხოვნები:

ა) განახორციელოს ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებები, მათ შორის, ვაქცინაცია, დიაგნოსტიკური გამოკვლევები, მკურნალობა და ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო სხვა ღონისძიებები;

ბ) ცხოველის დაკვლა მისი რეალიზაციის მიზნით განახორციელოს ვეტერინარული ზედამხედველობით;

გ) შეასრულოს სააგენტოს მითითებები ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად;

დ) ითანშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან ცხოველის დაავადების საწინააღმდეგო სადიაგნოსტიკო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ვრცელდება ოჯახური წარმოების სუბიექტზედაც.

+

#### მუხლი 16. ბიზნესოპერატორის ვალდებულებები მცენარის დაცვასთან დაკავშირებით

1. ბიზნესოპერატორი, რომელიც ეწევა მცენარის მოყვანასა და გაზრდას, ვალდებულია:

ა) დაიცვას მცენარე საკარანტინო მანე ორგანიზმებისაგან;

ბ) არ დაუშვას გამოყენებული პესტიციდების მანე ზემოქმედება ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობაზე;

გ) შეასრულოს სააგენტოს მითითებები იმ მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც საშიშია მცენარის სიჯანსაღისათვის, ცხოველისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის;

დ) ითანამშრომლოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისას.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ვრცელდება ოჯახური წარმოების სუბიექტზედაც.

**მუხლი 17. მიკვლევადობასა და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებულ სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები**

1. სურსათის/ცხოველის საკვების და პირველადი წარმოების მიკვლევადობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე.

2. ბიზნესოპერატორი ვალდებულია ჰქონდეს ინფორმაცია სურსათის/ცხოველის საკვების, სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად განკუთვნილი ნედლეულის, მცენარის ან/და ცხოველის მიწოდების საიდენტიფიკაციო მონაცემების, ფაქტობრივი მისამართის და პროდუქტის ჩაბარების თარიღის შესახებ.

3. ბიზნესოპერატორი ვალდებულია ჰქონდეს ინფორმაცია იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებისა და ფაქტობრივი მისამართის შესახებ, რომელსაც მიაწოდა წარმოებული სურსათი/ცხოველის საკვები, სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად განკუთვნილი ნედლეული, მცენარე ან/და ცხოველი, მისი მიწოდების თარიღის მითითებით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ინფორმაცია მოწმდება დოკუმენტური შემოწმების გზით, ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ინსპექტირების, ზედამხედველობისა და მონიტორინგის დროს.

5. საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

ა) საფრთხის იდენტიფიცირება მისი თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან სათანადო დონემდე შემცირების მიზნით;

ბ) კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან სათანადო დონემდე შემცირების მიზნით;

გ) კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან სათანადო დონემდე შემცირების კრიტიკული ზღვრების განსაზღვრა საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის ან შემცირების მისაღები დონის დადგენის მიზნით;

დ) კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე ეფექტიანი მონიტორინგის დანერგვა და განხორციელება;

ე) თუ მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე დაწესებული კონტროლის არაეფექტიანობა – კონტროლის მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელება მისი გაუმჯობესების მიზნით;

ვ) რეგულარული პროცედურების დანერგვა და განხორციელება ამ ნაწილის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით;

ზ) ამ ნაწილის „ა“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ჩანაწერების წარმოება.

6. საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა სავალდებულო არ არის პირველადი წარმოებისათვის და მასთან დაკავშირებული შემდეგი ოპერაციებისათვის:

ა) პირველადი წარმოების პროდუქტის (მათ შორის, თევზჭერის პროდუქტის) ტრანსპორტირება, შენახვა და დამუშავება, თუ პირველადი წარმოების პროდუქტის დამუშავება მნიშვნელოვნად არ ცვლის მის თვისებებს;

ბ) ცოცხალი ცხოველის ტრანსპორტირება.

7. საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის მოდიფიცირება, მისი გამარტივების მიზნით, შესაძლებელია ამ კოდექსის პირველი მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ბიზნესოპერატორებისათვის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

8. სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების, გადამამუშავებისა და დისტრიბუციის ტიპები, რომელთათვისაც სავალდებულოა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის დანერგვა, განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

#### **მუხლი 18. სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესი**

1. სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათი/ცხოველის საკვები ეტიკეტირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სარეალიზაციოდ განკუთვნილი სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა მოწმდება ინსპექტირებისა და მონიტორინგის დროს.

#### **თავი IV. სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებები**

+

#### **მუხლი 19. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებები**

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკას განსაზღვრავენ საქართველოს მთავრობა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

2. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლს საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს სააგენტო ამ კოდექსის შესაბამისად, ხოლო საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომ – სამსახური) ამ კოდექსის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

**მუხლი 20. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებები სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში**

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილებებია:

- ა) კანონშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა;
- ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;
- გ) ღონისძიებებისა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება ამ კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრული კრიზისული მდგომარეობის მართვის უზრუნველსაყოფად;
- დ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

+

**მუხლი 21. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებები სურსათის უვნებლობის სფეროში**

სურსათის უვნებლობის სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებებია:

- ა) სურსათის უვნებლობის ნორმებისა და პარამეტრების განსაზღვრაში მონაწილეობა;
- ბ) მომხმარებელთა სპეციალური ჯგუფებისათვის სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრაში მონაწილეობა;
- გ) სურსათით გამოწვეული დაავადებების მონიტორინგის განხორციელება და შესაბამის მონაცემთა ბაზის წარმოება;

დ) ამ კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრული კრიზისული მდგომარეობის მართვაში მონაწილეობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

+

მუხლი 22. სააგენტოს უფლებამოსილებები სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სააგენტოს უფლებამოსილებებია:

ა) რისკის ანალიზის უზრუნველყოფა და განხორციელება;

ბ) წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე სურსათის/ცხოველის საკვების, პირველადი წარმოების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

გ) მიკვლევადობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შემოწმება მათი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის ან ინსპექტირების დროს;

დ) საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შემოწმება მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ინსპექტირების დროს;

ე) ცხოველთა ჯანმრთელობისა და ეპიზოოტიური კეთილსამედიდობის უზრუნველსაყოფად ვეტერინარული კონტროლის განხორციელება, მათ შორის, გადამდები და ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ვ) ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია, ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების განადგურებაზე ზედამხედველობა;

ზ) ბიოლოგიური ნარჩენების, გარდა საშიში და სამედიცინო ბიოლოგიური ნარჩენებისა, შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე ზედამხედველობა;

თ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე) მიმდინარეობაზე ზედამხედველობა;

ი) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია;

კ) ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელება, მათ შორის, მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

ლ) მცენარეთა კარანტინისა და ვეტერინარული კარანტინის ორგანიზება;

მ) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული სამართლებრივი მოთხოვნების შესახებ ბიზნესოპერატორებისა და მომხმარებელთა ინფორმირება;

ნ) განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების გავრცელებასა და განვითარებაზე დაკვირვება, მათი გამოვლენა და დიაგნოსტიკა;

ო) განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნებლების, დაავადებებისა და სარეველების მასობრივი გავრცელებისა და განვითარების პროგნოზირება;

პ) რისკის ანალიზის საფუძველზე მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ პრევენციული და ლოკალიზაციის/სალიკვიდაციო ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;

ჟ) მოსახლეობის დროული ინფორმირება ბაზარზე განთავსებულ სურსათთან/ცხოველის საკვებთან დაკავშირებით, თუდადასტურებულია, რომ ეს სურსათი/ცხოველის საკვები ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობისათვის მავნეა;

რ) ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებაზე მეთვალყურეობა;

ს) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სერტიფიკატების, ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა;

ტ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. სააგენტო მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

+

#### მუხლი 25. სახელმწიფო კონტროლის სახეები

სახელმწიფო კონტროლის სახეებია:

ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლი, რომლის მიზანია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის უზრუნველყოფა;

ბ) ვეტერინარული კონტროლი, რომლის მიზანია ცხოველის ჯანმრთელობის დაცვა;

გ) ფიტოსანიტარიული კონტროლი, რომლის მიზანია მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა.

+

#### მუხლი 26. სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმები

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლის, ვეტერინარული კონტროლისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- ა) გეგმური და არაგეგმური ინსპექტირება;
- ბ) ზედამხედველობა;
- გ) მონიტორინგი;
- დ) ნიმუშის აღება;
- ე) დოკუმენტური შემოწმება.

#### თავი VI. ინსპექტირება

+

#### მუხლი 28. ინსპექტირების ზოგადი პრინციპები

1. საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო კონტროლს და მის კოორდინაციას ახორციელებს სააგენტო ამ კოდექსით დადგენილი წესით.
2. სახელმწიფო კონტროლის მიზნით სააგენტო ახორციელებს არაგეგმურ ინსპექტირებას, ხოლო საინსპექციო ორგანო – გეგმურ ინსპექტირებას.
3. სახელმწიფო კონტროლის კოორდინაციის მიზნით სააგენტო საინსპექციო ორგანოს მიერ გეგმური ინსპექტირების განხორციელებას ზედამხედველობს შემდეგნაირად:
  - ა) საინსპექციო ორგანოს მიერ წარდგენილი შესაბამისობის შეფასების აქტის ასლის დოკუმენტური შემოწმების მეშვეობით;
  - ბ) საინსპექციო ორგანოს მიერ ინსპექტირების შედეგად მოპოვებული სხვა, დამატებითი მასალის დოკუმენტური შემოწმების მეშვეობით;
  - გ) ამ კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საინსპექციო ორგანოს მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, არაგეგმური ინსპექტირების განხორციელების მეშვეობით.
4. საინსპექციო ორგანო ანგარიშვალდებულია სააგენტოს წინაშე გეგმური ინსპექტირების შედეგად მოპოვებული დოკუმენტური მასალის სააგენტოსათვის წარდგენის გზით, რომელიც ხორციელდება ამ კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

5. სააგენტო ახორციელებს გეგმურ ინსპექტირებას საინსპექციო ორგანოსაგან ამ კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული შეტყობინების მიღებამდე ამ კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო აღნიშნული შეტყობინების მიღების შემდეგ საინსპექციო ორგანო ახორციელებს გეგმურ ინსპექტირებას შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიასა და წარმოების სახეობაზე.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო განაგრძობს გეგმურ ინსპექტირებას იმ ტერიტორიასა და წარმოების სახეობაზე, სადაც არ არის საინსპექციო ორგანო.

7. იკრძალება ერთი და იმავე ბიზნესოპერატორის პარალელური გეგმური ინსპექტირება სააგენტოსა და საინსპექციო ორგანოს მიერ.

8. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით შემუშავებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად.

+

#### მუხლი 29. გეგმური ინსპექტირების პერიოდულობა

1. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება ბიზნესოპერატორად დარეგისტრირებულ საწარმოში.

2. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება ამ კოდექსის 27-ე მუხლის საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შესაბამისად.

3. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება რისკის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით შემუშავებული სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შედეგად შერჩეულ ბიზნესოპერატორში, წელიწადში ერთხელ.

+

#### მუხლი 30. არაგეგმური ინსპექტირების საფუძველი

1. არაგეგმური ინსპექტირება ხორციელდება:

ა) მოსახლეობასა და ცხოველებში მასობრივი კვებითი მოშამვეების დადასტურებული შედეგების საფუძველზე;

ბ) მოსახლეობასა და ცხოველებში მასობრივი დაავადებების დადასტურებული შედეგების საფუძველზე;

გ) სააგენტოსათვის მომხმარებლის მიმართვის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ მიმართვას თან ახლავს:

გ.ა) ნიმუშის აღების პროცედურის აღწერა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ.ბ) აღებული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის შედეგი, რომლის მიხედვითაც, სურსათი/ცხოველის საკვები უვნებელი არ არის;

გ.გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის ცნობა, რომელიც ადასტურებს მომხმარებლის სურსათით განპირობებულ ნაწლავთა ინფექციურ მოწამვლას ან კვებით ინტოქსიკაციას;



დ) ამ კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საინსპექციო ორგანოს მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგებთან დაკავშირებით საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას;

ე) ამ კოდექსის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზედამხედველობის განმახორციელებელი ვეტერინარი ექიმის მიერ სააგენტოსათვის ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე გაგზავნილი დოკუმენტაციის დოკუმენტური შემოწმების შედეგად საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში;

ვ) სხვა ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ან საერთაშორისო კომპეტენტური ორგანიზაციის შეტყობინების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, სურსათი/ცხოველის საკვები არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს;

ზ) სახელმწიფო ან სამართალდამცავი ორგანოს წერილობითი შუამდგომლობის საფუძველზე;

თ) ბიზნესოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე, საკუთარ საწარმოში.

2. არაგეგმური ინსპექტირება ხორციელდება ამ კოდექსის 33-ე მუხლით დადგენილი წესით.

+

### მუხლი 31. საინსპექციო ორგანო

1. საინსპექციო ორგანო ახორციელებს გეგმურ ინსპექტირებას.

2. საინსპექციო ორგანო ვალდებულია ჰქონდეს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაზღვევა, გარდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების საინსპექციო ორგანოებისა, რომელთა პასუხისმგებლობის დაზღვევა მოიცავს საქართველოს ტერიტორიასაც.

3. საინსპექციო ორგანომ საქმიანობის დაწყებამდე სააგენტოს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად.

4. საინსპექციო ორგანომ ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ შეტყობინებაში უნდა მიუთითოს:

ა) ტერიტორია (დაფარვის არეალი), სადაც საინსპექციო ორგანო განახორციელებს გეგმურ ინსპექტირებას;

ბ) წარმოების სახეობა, სადაც საინსპექციო ორგანო განახორციელებს გეგმურ ინსპექტირებას.

5. სააგენტო ვალდებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული შეტყობინების მიღების შემდეგ უზრუნველყოს საინსპექციო ორგანოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა თავის ვებგვერდზე განთავსების გზით.

6. საინსპექციო ორგანომ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში სააგენტოს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება ამის თაობაზე.

7. საინსპექციო ორგანოს მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში სააგენტო წერილობით მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს შესაბამისი საინსპექციო ორგანოსათვის აკრედიტაციის ჩამორთმევის მიზნით.

+

### მუხლი 32. საინსპექციო ორგანოს მიერ გეგმური ინსპექტირების განხორციელების წესი

1. გეგმური ინსპექტირების განხორციელებისათვის სააგენტო სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის საფუძველზე ადგენს გეგმური ინსპექტირებისადმი დაქვემდებარებული ბიზნესოპერატორების ნუსხას. გეგმური ინსპექტირების განხორციელების შესახებ ინფორმაცია არანაკლებ ერთი თვით ადრე ეგზავნება შესაბამის ბიზნესოპერატორებს.
2. გეგმური ინსპექტირება ხორციელდება ბიზნესოპერატორსა და საინსპექციო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
3. საინსპექციო ორგანო ინსპექტირების განხორციელებისას ადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამისობისშეფასების აქტს .
4. საინსპექციო ორგანო ინსპექტირების შედეგად შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ბიზნესოპერატორს აძლევის რეკომენდაციებს და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მათ შესასრულებლად.
5. საინსპექციო ორგანო სააგენტოს უზავნის განხორციელებული ინსპექტირების შედეგად შედგენილი შესაბამისობის შეფასებისაქტის ასლს , ხოლო სააგენტოს მოთხოვნისას – ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა, დამატებით დოკუმენტურ მასალას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) .
6. საინსპექციო ორგანოს მიერ სააგენტოსათვის გაგზავნილი შესაბამისობის შეფასების აქტის ასლისა და სხვა, დამატებითი დოკუმენტური მასალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისობის შეფასებისსერტიფიკატის გაცემის შესახებ .
7. საინსპექციო ორგანო პასუხისმგებელია თავის მიერ წარმოებული დოკუმენტების სისწორისათვის.

+

### მუხლი 33. საინსპექციო ორგანოს უფლებამოსილებები

1. საინსპექციო ორგანო სახელმწიფო კონტროლის მიზნით, გეგმური ინსპექტირების განხორციელებისას უფლებამოსილია:
  - ა) შეამოწმოს:
    - ა.ა) სურსათის/ცხოველის საკვების ან/და პირველადი წარმოების ადგილი, საწარმო, სატრანსპორტო საშუალება, ტექნიკისა და აღჭურვილობის მდგომარეობა და გამოყენების პირობები;
    - ა.ბ) ნედლეული, ინგრედიენტები, ნახევარფაბრიკატები, სხვა საშუალებები და პროდუქტები, რომლებიც გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების საწარმოებლად; საბოლოო სურსათი/ცხოველის საკვები, მასალები, რომლებსაც კონტაქტი აქვს სურსათთან;

ა.გ) სარეცხი და სადუზინფექციო საშუალებები, რომლებსაც ბიზნესოპერატორები იყენებენ საწარმოში;

ა.დ) სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტი – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) დადგენილი წესით აილოს ნიმუში;

გ) გამოთხოვოს საჭირო დოკუმენტები ან სხვა მონაცემები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სურსათის/ცხოველის საკვების, პირველადი წარმოების შესახებ, გადაიღოს მათი ასლები და გააკეთოს ამონაწერები;

დ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ აღებული ნიმუშის (ცხოველის შემთხვევაში – სინჯის, ნაცხის, პათოლოგიური მასალის) ორგანოლოგტიკური შეფასების შედეგების საფუძველზე ლაბორატორიული ანალიზის გაკეთება საჭირო არ გახდა, საინსპექციო ორგანო ვალდებულია ეს აღნიშნოს შესაბამისობის შეფასების აქტის სათანადო ნაწილში.

3. ბიზნესოპერატორი ვალდებულია ხელი შეუწყოს საინსპექციო ორგანოს ინსპექტირების განხორციელებაში.

4. საინსპექციო ორგანო ინსპექტირებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისობის შეფასების აქტით.

5. საინსპექციო ორგანო ინსპექტირებისას ადგენს შესაბამისობის შეფასების აქტს ორ ეგზემპლარად.

6. შესაბამისობის შეფასების აქტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემოწმების დაწყებისა და დამთავრების თარიღები;

ბ) შემოწმების საფუძველი;

გ) ინსპექტირების ტიპი;

დ) უფლებამოსილი პირის გვარი, სახელი და თანამდე ბოზა;

ე) ბიზნესოპერატორის დასახელება, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები, ხელმძღვანელის ან წარმომადგენლობაზე უფ ლე ბამოსილი პირის რეკვიზიტები;

ვ) შემოწმების შედეგები, მათ შორის, შეუსაბამობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ტიპი;

ზ) საინსპექციო ორგანოს მიერ გაცემული რეკო მენ დაციები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) შეუსაბამობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოსწორებისათვის რეკომენდაციების შესრულების გონივრული ვადა.

7. შესაბამისობის შეფასების აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ბიზნესოპერატორს, მეორე ეგზემპლარი რჩება საინსპექციო ორგანოს, ხოლო ასლი ეგზავნება სააგენტოს.

8. თუ ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ეთანხმება საინსპექციო ორგანოს მიერ გეგმური ინსპექტირების შედეგად შესაბამისობის შეფასების აქტში შეტანილ

ინფორმაციას, იგი თავის თანხმობას მიუთითებს აქტის სპეციალურ გრაფაში და მას ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და საინსპექციო ორგანოს წარმომადგენელი ხელმოწერებით ადასტურებენ.

9. თუ ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არ ეთანხმება შესაბამისობის შეფასების აქტში მოცემულ ინფორმაციას, იგი ამის შესახებ მიუთითებს აქტის სპეციალურ გრაფაში და მას ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და საინსპექციო ორგანოს წარმომადგენელი ხელმოწერებით ადასტურებენ.

+

#### მუხლი 34. არაკრიტიკული შეუსაბამობა

1. არაკრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საინსპექციო ორგანო ბიზნესოპერატორს არაკრიტიკული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით აძლევს რეკომენდაციებს და გონივრულ ვადას მათ შესასრულებლად, ასევე განუმარტავს რეკომენდაციების შესრულებლობის შესაძლო შედეგებს.

2. არაკრიტიკული შეუსაბამობის გამოსასწორებლად რეკომენდაციების შემუშავებასა და მათი შესრულებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრაში მონაწილეობს ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

3. გონივრული ვადის გასვლის შემდეგ ბიზნესოპერატორი ვალდებულია მოიწვიოს საინსპექციო ორგანო რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით.

4. გონივრული ვადის გასვლის შემდეგ საინსპექციო ორგანომ უნდა გადაამოწმოს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციები არ იქნება შესრულებული, საინსპექციო ორგანო ამის შესახებ აცნობებს სააგენტოს. სააგენტო აჯარიმებს ბიზნესოპერატორს და აძლევს მას ახალ გონივრულ ვადას.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციები გონივრულ ვადაში არ იქნება შესრულებული, ჯარიმა გასამზადება და შე საბამისობის შეფასების სერტიფიკატის მოქმედება შეჩერდება.

7. თუ ბიზნესოპერატორს სურს შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის მოქმედების გაგრძელება, მან უნდა მოიწვიოს საინსპექციო ორგანო ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საინსპექციო ორგანო განხორციელებული ინსპექტირების შედეგს უგზავნის სააგენტოს, რის საფუძველზედაც სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის მოქმედების გაგრძელების თაობაზე.

9. თუ ბიზნესოპერატორი არ ეთანხმება საინსპექციო ორგანოს რეკომენდაციებს, მას უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს. უფ ლე ბამოსილი პირის მიერ გაცემული რეკომენდაციები სრულდება სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტი ლე ბის მიღების შემდეგ.

10. არაკრიტიკული შეუსაბამობის არსებობისას ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე საინსპექციო ორგანოს უფლება არ აქვს, შევიდეს იმავე საწარმოში გაცემული რეკომენდაციების შესრულების გადამოწმების მიზნით.

11. თუ სასამართლო გადაწყვეტილებას ბიზნესოპერატორის სასარ გებ ლოდ მიიღებს, სააგენტო ვალდებულია აუნაზღაუროს ბიზნესოპე რა ტორს ჯარიმის ეკვივალენტური ზიანი.

+

### მუხლი 35. კრიტიკული შეუსაბამობა

1. კრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში საინსპექციო ორგანო ბიზნესოპერატორს აძლევს რეკომენდაციებს კრიტიკული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით და სააგენტოს აცნობებს საწარმოში კრიტიკული შეუსაბამობის არსებობის შესახებ.

2. სააგენტო აჯარიმებს ბიზნესოპერატორს და იღებს კონკრეტული საწარმოო პროცესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას საინსპექციო ორგანოს მიერ მიწოდებული ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის საფუძველზე ან ამ ინფორმაციის სააგენტოს მიერ არაგეგმური ინსპექტირების განხორციელებით გადამოწმების შედეგად გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობის არსებობის დადასტურების შემთხვევაში.

3. თუ სააგენტო მიიღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული საწარმოო პროცესის შეჩერების შესახებ და ბიზნესოპერატორი ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, ბიზნესოპერატორი ვალდებულია შეაჩეროს კონკრეტული საწარმოო პროცესი.

4. თუ ბიზნესოპერატორი არ ეთანხმება სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას დაჯარიმებისა და კონკრეტული საწარმოო პროცესის შეჩერების შესახებ, ბიზნესოპერატორს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ბიზნესოპერატორი ვალდებულია შეაჩეროს კონკრეტული საწარმოო პროცესი.

5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილებას ბიზნესოპერატორის სასარგებლოდ მიიღებს, სააგენტო ვალდებულია აუნაზღაუროს ბიზნესოპერატორს დაჯარიმებისა და კონკრეტული საწარმოო პროცესის შეჩერების შედეგად მიყენებული ზიანი.

6. კრიტიკული შეუსაბამობის გამოსწორებამდე კონკრეტული საწარმოო პროცესის შეჩერებასთან ერთად შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის მოქმედებაც ჩერდება.

7. გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემდეგ ბიზნესოპერატორს უფლება აქვს, მიმართოს სააგენტოს კონკრეტული საწარმოო პროცესის გაგრძელების თაობაზე.

8. ბიზნესოპერატორის მოწვევის საფუძველზე სააგენტო ამოწმებს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას.

9. თუ ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტოს მიერ ინსპექტირების განხორციელების შედეგად:

ა) აღმოჩნდა არაკრიტიკული შეუსაბამობა, სააგენტო ბიზნესოპერატორს ანიჭებს კონკრეტული საწარმოო პროცესის გაგრძელების უფლებას. ასეთ შემთხვევაში სააგენტო მოქმედებს ამ კოდექსის 34-ე მუხლის საფუძველზე;

ბ) დადგინდა, რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტო ბიზნესოპერატორს ანიჭებს კონკრეტული საწარმოო პროცესის გაგრძელების უფლებას და უგრძელებს შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის მოქმედებას.

+

### მუხლი 36. შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი

1. თუ ინსპექტირების განხორციელების შედეგად დადგინდა, რომ ბიზნესოპერატორის საქმიანობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სააგენტო ელექტრონულად გასცემს შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატს და ამის თაობაზე ინფორმაცია შეაქვს სპეციალურ ელექტრონულ რეესტრში.

2. ბიზნესოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია გაიცეს შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის ბეჭდური ვერსია ან/და ასლი.

3. შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი გაიცემა უფადოდ.

4. შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატის მოქმედება ჩერდება ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილისა და 35-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად.

+

### თავი VII. ზედამხედველობა

+

### მუხლი 37. ზედამხედველობა

ზედამხედველობა არის ვეტერინარული კონტროლისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს:

ა) ცხოველის დაკვლის პროცესზე (დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომ შემოწმებაზე) მეთვალყურეობას;

ბ) მცენარეთა კარანტინისა და ვეტერინარული კარანტინის ფარგლებში, მოცემულ ზონაში მავნე ორგანიზმების, ცხოველთა დაავადებების არსებობის ან არარსებობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით მონაცემების შეკრებას, გამოკითხვას, ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღებას, დაკვირვებას და სხვა პროცედურების განხორციელებას;

გ) ცხოველთა გადამდები ან მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და ზოონოზური დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებაზე მეთვალყურეობას;

დ) ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების განადგურებაზე მეთვალყურეობას;

ე) ბიოლოგიური ნარჩენების, გარდა საშიში და სამედიცინო ბიოლოგიური ნარჩენებისა, შეგროვებაზე, უტილიზაციასა და განადგურებაზე მეთვალყურეობას;

ვ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე) მიმდინარეობაზე მეთვალყურეობას.

+

### მუხლი 38. ვეტერინარი ექიმი და ვეტერინარი ტექნიკოსი

1. ამ კოდექსის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ზედამხედველობას ცხოველის დაკვლის პროცესზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ვეტერინარი ექიმი ან ვეტერინარი ტექნიკოსი ვეტერინარი ექიმის მეთვალყურეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ცხოველის დაკვლის პროცესზე ზედამხედველობა ხორციელდება ბიზნესოპერატორსა და ვეტერინარ ექიმს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ვეტერინარი ექიმი ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის დაწყებამდე სააგენტოს უგზავნის შეტყობინებას საქმიანობის დაწყების თაობაზე, შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლთან ერთად.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრულ შეტყობინებაში უნდა მითითოს იმ ბიზნესოპერატორის დასახელება და ფაქტობრივი მისამართი, სადაც ვეტერინარი ექიმი განახორციელებს ზედამხედველობას.

5. სააგენტო ვალდებულია ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტის მიღების შემდეგ ვეტერინარ ექიმს გადასცეს საიდენტიფიკაციო ბეჭედი, რომელზედაც მითითებული იქნება ვეტერინარი ექიმის სახელი და გვარი, აგრეთვე საიდენტიფიკაციო კოდი, რომელსაც სააგენტო ანიჭებს ვეტერინარ ექიმს.

6. თუ ცხოველის დაკვლის პროცესი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ვეტერინარი ექიმი გაცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის დოკუმენტს, რომელიც მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტია.

7. სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში ვეტერინარი ექიმი ზედამხედველობასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას უგზავნის სააგენტოს.

8. ვეტერინარი ექიმი პასუხისმგებელია თავის მიერ წარმოებული დოკუმენტაციის სისწორისათვის.

9. ვეტერინარი ექიმის მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება შესაძლოა გახდეს სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ბეჭედის ერთი წლის ვადით ჩამორთმევის საფუძველი.

10. ვეტერინარი ტექნიკოსი უფლებამოსილია განახორციელოს ამ კოდექსის 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზედამხედველობა ცხოველის დაკვლის პროცესზე ვეტერინარი ექიმის მეთვალყურეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ვეტერინარი ტექნიკოსი ზედამხედველობის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას წარუდგენს ვეტერინარ ექიმს.

11. ვეტერინარი ექიმი ან ვეტერინარი ტექნიკოსი უფლებამოსილია ბიზნესოპერატორთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელოს:

- ა) ეპიზოოტიის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებები (მათ შორის, ვაქცინაცია);
- ბ) დიაგნოსტიკური გამოკვლევები;
- გ) ცხოველის შესაბამისი მკურნალობა;
- დ) ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო სხვა ღონისძიებები;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

12. ვეტერინარი ექიმი ან ვეტერინარი ტექნიკოსი უფლებამოსილია სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ამ მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებთან ერთად, განახორციელოს ასევე შემდეგი უფლებამოსილებანი:

- ა) ვეტერინარული კარანტინის ფარგლებში, მოცემულ ზონაში ცხოველთა დაავადებების არსებობის ან არარსებობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით მონაცემების შეკრება, გამოკითხვა, ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღება, დაკვირვება და სხვა პროცედურების განხორციელება;
- ბ) ცხოველთა გადაყვანა-გადარეკვის (მათ შორის, სეზონურ სამოვრებზე) მიმდინარეობაზე მეთვალყურეობა;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

13. ვეტერინარი ექიმი ან ვეტერინარი ტექნიკოსი ვალდებულია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას ცხოველის ინფექციური, მასობრივი გადამდები ან არაგადამდები დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

+

#### [თავი VIII. მონიტორინგი](#)

+

#### [მუხლი 39. მონიტორინგი](#)

1. მონიტორინგი არის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც შეისწავლება ბაზარზე არსებული მდგომარეობა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის,



ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდისა და აგროქიმიკატის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

2. მონიტორინგი ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის ფარგლებში.

3. სახელმწიფო კონტროლის წლიური პროგრამის შემუშავებისას მონიტორინგის ნაწილში გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა) წინა წელს მოსახლეობასა და ცხოველებში კვებითი მოშხამების, სურსათით/ცხოველის საკვებით განპირობებული ნაწლავთა ინფექციების, ეპიდემიების, სხვა მასობრივი დაავადებების გაჩენის შემთხვევები; ასევე შესაძლებელია წინა წელს არსებული, ამ კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი მომხმარებელთა მიმართების გათვალისწინება;

ბ) სურსათის/ცხოველის საკვების ბაქტერიული, ქიმიური ან ფიზიკური დაზიანებების შემთხვევები;

გ) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წელს განხორციელებული საქმიანობების შედარებით ანალიზი.

4. მონიტორინგის ფარგლებში ბაზარზე არსებული მდგომარეობა შეისწავლება საცალო ვაჭრობის პუნქტიდან ნიმუშის აღების გზით.

5. თუ მონიტორინგის ფარგლებში აღებული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სურსათი/ცხოველის საკვები პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, სააგენტო ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს შესაბამის ბიზნესოპერატორს და მოსთხოვოს მას პროდუქტის ბაზრიდან დაუყოვნებლივ გამოთხოვა.

6. თუ მონიტორინგის ფარგლებში ნიმუშის აღების შედეგად დადგინდა, რომ ვეტერინარული პრეპარატი, პესტიციდი ან აგროქიმიკატი ფალსიფიცირებულია, არარეგისტრირებულია ან ვადაგასულია, ან აღებული ნიმუშის ლაბორატორიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ვეტერინარული პრეპარატი, პესტიციდი ან აგროქიმიკატი პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, სააგენტო ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს შესაბამის პირს და მოსთხოვოს მას პროდუქტის ბაზრიდან დაუყოვნებლივ გამოთხოვა.

7. მონიტორინგის ფარგლებში, ნიმუშის აღების გზით მოწმდება პროდუქტის ეტიკეტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

8. ამ მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოითხოვოს პროდუქტი ბაზრიდან.

9. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში პროდუქტს ბაზრიდან ამოიღებს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

+

[თავი IX. ნიმუშის აღება](#)

+

#### მუხლი 40. ნიმუშის აღების მიზანი და წესი

1. ამ კოდექსის მე-2 მუხლის „ჭ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნიმუში აიღება ორგანოლეპტიკური, მიკრობიოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ტოქსიკოლოგიური, ფიზიკურ-ქიმიური, რადიოლოგიური, დაავადებების ან/და სხვა მარკერების გამოკვლევის მიზნით, რათა განისაზღვროს ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობისათვის, მცენარის სიჯანსაღისათვის მათ მიერ შექმნილი საფრთხე, ასევე პროდუქტის ეტიკეტის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
2. ნიმუშის აღება არის ქმედება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ინსპექტირებისას, ზედამხედველობისას ან მონიტორინგისას.
3. ნიმუშს იღებს უფლებამოსილი პირი.
4. უფლებამოსილი პირის მიერ კონკრეტულ ობიექტზე ნიმუშის აღებისას ბიზნესოპერატორმა უნდა ითანამშრომლოს უფლებამოსილ პირთან და უნდა დაეხმაროს მას ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებათა განხორციელებისას.
5. ნიმუში აღებულ უნდა იქნეს ამ კოდექსითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით.
6. ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუში მისი თვისებების შესანარჩუნებლად უნდა განთავსდეს სტერილურ, სითხეგაუმტარ, ჰერმეტიკულ ჭურჭელში/კონტეინერში და უნდა დაილუქოს. ასევე შესაძლებელია ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუში თავისივე შეფუთვით გაიგზავნოს ლაბორატორიაში.
7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ლუქის ან/და შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში ნიმუში უვარგისად მიიჩნევა.
8. ნიმუშის ლაბორატორიისათვის გადაცემამდე აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნიმუშის შენახვის სათანადო პირობებისა და ვადების დაცვა.
9. ნიმუში აიღება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი იგზავნება ლაბორატორიაში, ხოლო მეორე რეფერენტული ნიმუშის სახით ინახება სააგენტოში (ნიმუშზე მიეთითება დასახელება, წონა, მოცულობა). განსაკუთრებით მალფუჭებადი პროდუქტის რეფერენტული ნიმუში შესანახად არ აიღება.
10. ბიზნესოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში ნიმუში შესაძლებელია აღებულ იქნეს სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ბიზნესოპერატორთან. ასეთ შემთხვევაში ნიმუშის მესამე ეგზემპლარს უფლებამოსილი პირი არ შეისყიდის.
11. რეფერენტული ნიმუში ინახება სათანადო პირობებში, ბიზნესოპერატორისათვის შედეგებისა და დასკვნის მიწოდებიდან 1 თვის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ რეფერენტული ნიმუში ნადგურდება დადგენილი წესის შესაბამისად და დგება რეფერენტული ნიმუშის განადგურების აქტი.
12. ლაბორატორიული გამოცდის შესაბამისი შედეგის საფუძველზე პროდუქტის განადგურება ან უტილიზაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

+

#### მუხლი 41. ნიმუშის აღების პროცედურა

ნიმუშის აღების პროცედურა მოიცავს:

ა) პროდუქტის იდენტიფიცირებას;

ბ) არსებული პარტიის იდენტიფიცირებას და მისი რაოდენობის დადგენას ან/და დათვალიერებით გამოვლენილი სხვადასხვა დეფექტის (ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და შენახვის პირობებისა და სხვა დარღვევით გამოწვეული დეფექტების) იდენტიფიცირებას;

გ) კონკრეტული დასახელების პროდუქტისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი რაოდენობითა და წესით ნიმუშის აღებას (საჭიროების შემთხვევაში, წერტილოვანი ნიმუშების რიცხვის დადგენას და მათგან საშუალო ნიმუშის ფორმირებას);

დ) ნიმუშის შერჩევის/აღების პროცესს;

ე) საჭიროების შემთხვევაში, ნიმუშის დალუქვას.

+

#### მუხლი 42. ნიმუშის აღება მონიტორინგისას

1. მონიტორინგისას ნიმუში აიღება საცალო ვაჭრობის პუნქტიდან მისი შესყიდვის გზით.

2. სააგენტოს უფლებამოსილი პირი საცალო ვაჭრობის პუნქტიდან ნიმუშის აღებისას ავებს ნიმუშის აღების აქტს.

3. საცალო ვაჭრობის პუნქტიდან ნიმუშის აღებისა და ლაბორატორიული გამოცდის ხარჯებს გაიღებს სააგენტო.

+

#### მუხლი 43. ნიმუშის აღება ზედამხედველობისას

ზედამხედველობისას ნიმუში აიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შემდეგ შემთხვევებში:

ა) ცხოველის დაკვლის პროცესზე ზედამხედველობისას;

ბ) მცენარეთა კარანტინისა და ვეტერინარული კარანტინის ფარგლებში;

გ) გადამდები, ზოონოზური და მასობრივი არაგადამდები დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებისას.

+

#### მუხლი 44. ნიმუშის აღება ინსპექტირებისას

1. ინსპექტირებისას ნიმუში აღება იმ შემთხვევაში, თუ ინსპექტირების პროცესში გამოვლინდება დარღვევა, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, მცენარის სიჯანსაღს.
2. ინსპექტირებისას აღებული ნიმუში შესაძლოა ლაბორატორიას არ გადაეცეს, თუ სურსათის/ცხოველის საკვების ორგანოლეპტიკური შეფასებისას დადგენილი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით გამოვლინდება ამ სურსათის/ცხოველის საკვების გაფუჭების აშკარა ნიშნები (მძაფრი და არასასიამოვნო სუნი, კონსისტენციისა და ფერის შეცვლა, ობით ღრმა და მნიშვნელოვანი დაზიანება და სხვა) და თუ უფლებამოსილი პირი სურსათის/ცხოველის საკვებს ადამიანისათვის/ცხოველისათვის საკვებად მავნედ მიიჩნევს.
3. თუ ინსპექტირებისას ორგანოლეპტიკურმა შეფასებამ გამოიწვია უფლებამოსილი პირის, ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის აზრთა სხვადასხვაობა, ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუშს შეიძლება ჩაუტარდეს ლაბორატორიული გამოკვლევა. თუ ლაბორატორიული გამოცდის შედეგად დადასტურდება სურსათის/ცხოველის საკვების ადამიანისათვის/ცხოველისათვის საკვებად მავნედ მიჩნევის ფაქტი, ლაბორატორიული გამოცდის ხარჯებს გაიღებს ბიზნესოპერატორი.
4. პირველადი წარმოების ინსპექტირებისას ნიმუში აღება ცხოველიდან ან/და მცენარიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელი ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არ ეთანხმება ინსპექტირებაზე უფლებამოსილ პირს, რომ ცხოველი ან მცენარე პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება.
5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აღებულ ნიმუშს უტარდება ლაბორატორიული გამოკვლევა. თუ ლაბორატორიული გამოცდის შედეგად დადასტურდება, რომ ცხოველი ან მცენარე პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ლაბორატორიული გამოცდის ხარჯებს გაიღებს ბიზნესოპერატორი.

+

#### მუხლი 45. ნიმუშის აღების აქტი და შესაბამისობის შეფასების აქტი

1. მონიტორინგის ფარგლებში ნიმუშის აღების შემთხვევაში დგება ნიმუშის აღების აქტი.
2. თუ ამ კოდექსის 44-ე მუხლის საფუძველზე ნიმუში აღება ინსპექტირებისას, შესაბამისობის შეფასების აქტში მიეთითება ნიმუშის აღებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
3. ნიმუშის აღების აქტი ან შესაბამისობის შეფასების აქტი დგება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება იმ ობიექტში, სადაც აღებულ იქნა ნიმუში, ხოლო მეორე ეძლევა ნიმუშის ამაღებ უფლებამოსილ პირს. აქტის ორივე ეგზემპლარის ნომერი იდენტური უნდა იყოს. შესაბამისობის შეფასების აქტის ასლი ეგზავნება სააგენტოს.

4. ნიმუშის აღების აქტის ან შესაბამისობის შეფასების აქტის საფუძველზე უფლებამოსილი პირი ადგენს მიმართვას და ნიმუშს გამოსაცდელად უგზავნის აკრედიტებულ ლაბორატორიას, ხოლო თუ ნიმუში ვეტერინარული გამოკვლევის მიზნითაა აღებული – შესაბამის ლაბორატორიას. მიმართვაში მიეთითება გამოკვლევის კონკრეტული მიზანი და მაჩვენებელი, რომლის განსაზღვრაც სავალდებულოა ლაბორატორიული გამოცდისას. აკრძალულია მიმართვაში ბიზნესოპერატორის დასახელება ან მისი საიდენტიფიკაციო სხვა ინფორმაციის რაიმე სახით მითითება. კვებით ინფექციასა და ინტოქსიკაციაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევის კონკრეტული მიზანი ან/და მაჩვენებელი განისაზღვრება ეპიდემიოლოგიური და ეპიზოოტიური მონაცემების და დაავადების კლინიკური სურათის გათვალისწინებით.

5. თუ ლაბორატორიული გამოცდის საფუძველზე სურსათი/ცხოველის საკვები მიჩნეული იქნება მავნედ, სურსათს/ცხოველის საკვებს ანადგურებს ბიზნესოპერატორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. თუ ლაბორატორიული გამოცდის საფუძველზე დადგინდება, რომ ცხოველი ან მცენარე პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, ცხოველს ან მცენარეს ანადგურებს ბიზნესოპერატორი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ნიმუშის აღების აქტის, შესაბამისობის შეფასების აქტისა და ნიმუშისთვის ლაბორატორიული გამოცდის ჩასატარებლად მიმართვის ფორმებს ადგენს საქართველოს მთავრობა დადგენილებით.

+

#### მუხლი 46. რეფერენტული (შედარებითი) გამოცდის ჩატარება

1. რეფერენტული (შედარებითი) გამოცდა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე არ ეთანხმება ლაბორატორიული გამოცდის შედეგებს.

2. რეფერენტული (შედარებითი) გამოცდის ჩასატარებლად მხარეთა შეთანხმებით შეირჩევა:

ა) სხვა აკრედიტებული ლაბორატორია;

ბ) სხვა ქვეყნის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლაბორატორია.

3. მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, დაესწონ რეფერენტულ (შედარებით) გამოცდას.

4. რეფერენტული (შედარებითი) გამოცდის დასკვნა საბოლოოა.

5. რეფერენტული (შედარებითი) გამოცდის იმ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია ამ მუხლით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებასთან, ფარავს მოდავე მხარე.

6. თუ რეფერენტული (შედარებითი) გამოცდით დადასტურდება ერთ-ერთი მხარის არგუმენტების სისწორე, მეორე მხარე მას უბრუნებს ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პროცედურისათვის გაწეულ ხარჯებს.

+

#### თავი X. დოკუმენტური შემოწმება

+

#### მუხლი 47. დოკუმენტური შემოწმება

1. უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს ბიზნესოპერატორის საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები დოკუმენტური შემოწმების მიზნით.
2. დოკუმენტური შემოწმება არის სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მექანიზმი. იგი ხორციელდება:
  - ა) ინსპექტირების, ზედამხედველობისა და მონიტორინგის დროს;
  - ბ) გეგმური ინსპექტირების შედეგად საინსპექციო ორგანოს მიერ ამ კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე ინფორმაციის შემოწმებისას.
3. ბიზნესოპერატორი ვალდებულია დოკუმენტური შემოწმების ფარგლებში მიაწოდოს უფლებამოსილ პირს მოთხოვნილი დოკუმენტები.

+

#### მუხლი 48. ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეგისტრაცია

1. საქართველოში წარმოებული ან იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო.
2. აკრძალულია ისეთი ვეტერინარული პრეპარატის წარმოება, რეალიზაცია და გამოყენება, რომე ლიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის რეგისტრირებული საქართველოში.
3. ვეტერინარული პრეპარატის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვების რეჟიმებია:
  - ა) ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმი;
  - ბ) ვეტერინარული პრეპარატის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმი.

+

#### მუხლი 49. პესტიციდისა და აგროქიმიკატის სახელმწიფო რეგისტრაცია

1. საქართველოში წარმოებული ან იმპორტირებული პესტიციდისა და აგროქიმიკატის სახელმწიფო რეგისტრაციას ახორციელებს სააგენტო.

2. აკრძალულია ისეთი პესტიციდისა და აგროქიმიკატის წარმოება, რეალიზაცია და გამოყენება, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ არის რეგისტრირებული საქართველოში.

3. პესტიციდისა და აგროქიმიკატის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვების რეჟიმებია:

ა) პესტიციდისა და აგროქიმიკატის სახელმწიფო რეგისტრაციის აღიარებითი რეჟიმი;

ბ) პესტიციდისა და აგროქიმიკატის სახელმწიფო რეგისტრაციის ეროვნული რეჟიმი.

+

მუხლი 50. ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდისა და აგროქიმიკატის საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაციის გარეშე შემოტანა

ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდისა და აგროქიმიკატის საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაციის გარეშე შემოტანაში იძლევა :

ა) ექსპერიმენტული კვლევისათვის;

ბ) რეგისტრაციისათვის – ნიმუშის სახით;

გ) გამოფენის, სიმპოზიუმის, კონფერენციის, ფორუმისა და კონგრესისათვის – ნიმუშის სახით, რეალიზაციის უფლების გარეშე;

დ) რეექსპორტისათვის;

ე) საქონლის საწყობში/ტერმინალში შენახვის ან/და ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისათვის ;

ვ) განსაკუთრებულ პირობებში (სტიქიური უბედურება, მოსახლეობის მასობრივი დაზიანება, ეპიდემია, ეპიზოოტიკა, ეპიზოოტიკის საშიშროება, ეგზოტიკური დაავადება) ჰუმანიტარული მიზნით, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებრივი ინტერესის არსებობისას, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობით;

ზ) თუ ეს არის შუალედური დაუფასოებელი ვეტერინარული პრეპარატი;

თ) თუ ეს არის ვეტერინარიაში გამოსაყენებელი სადიაგნოსტიკო საშუალება.

მუხლი 52. კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმა

1. სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიმუშავებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სფეროში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმას და მას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

2. კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმით კონკრეტულად განისაზღვრება რისკის ის დონე, რომლის აღკვეთა, აღმოფხვრა ან მისაღებ დონემდე შემცირება გართულეულია და გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

3. კრიზისული მდგომარეობის მართვის გეგმით კონკრეტულად განისაზღვრება იმ ქმედებებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც აუცილებელია კრიზისის სამართავად, კრიზისის მართვის ჯგუფის შექმნის, გამჭვირვალობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვის და მომხმარებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების ჩათვლით.

+

#### მუხლი 53. ვეტერინარული კარანტინი

1. ვეტ ე რინარული კარანტინი წესდება საკარანტინო დაავადების გაჩენის შემთხვევაში მისი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით .

2. ვეტერინარული კარანტინი ცხადდება საკარანტინო დაავადების დაფიქსირების შემთხვევაში .

3. განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც გამოვლინდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცებულუნუსხაში შეტანილი საკარანტინო დაავადება, დაუყო ვ ნებლივ დაწესდება იძულებითი კარანტინი შესაბამისი დაავადებისათვის დადგენილი საკარანტინო ვადით .

4. პროფილაქტიკური კარანტინის ვადა იმპორტირებულ ი ცხოველ ისათვის არის არა უმეტეს 30 დღ ე , ხოლო საექსპორტოცხოველ ისათვის – არა უმეტეს 21 დღ ე, თუ იმპორტიორი ქვეყნის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი . პროფილაქტიკური კარანტინის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

+

#### მუხლი 54. მცენარეთა კარანტინი

1. საქართველოს ტერიტორიაზე მცენარეთა კარანტინი ხორციელდება მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციისა (IPPC) და ფიტოსანიტარიული ზომების საერთაშორისო სტანდარტების (ISPM) მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. მცენარეთა კარანტინის ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს ტერიტორიის დაცვა სხვა ქვეყნიდან საკარანტინო მავნე ორგანიზმების შემოტანისა და გავრცელებისაგან;

ბ) შემოჭრილი საკარანტინო მავნე ორგანიზმების დროულად აღმოჩენა და გავრცელების კერების ლოკალიზაცია-ლიკვიდაციის ორგანიზება, აგრეთვე ამ ღონისძიებათა შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;



გ) მცენარის, მცენარეული პროდუქტის და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების უზრუნველყოფა.

3. მცენარეთა კარანტინი ვრცელდება:

ა) სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და დეკორატიული კულტურების თესვებსა და სარგავ მასალებზე, მცენარეებსა და მათ ნაწილებზე, აგრეთვე ნებისმიერ მცენარეულ პროდუქტსა და სხვა ფიტოსანიტარიულ რეგულირებად ობიექტზე, რომლებიც შეიძლება გახდეს საკარანტინო მავნე ორგანიზმის გადამტანი;

ბ) სოკოებსა და მათ კულტურებზე, ბაქტერიებზე, ვირუსებზე, ნემატოდებზე, ტკიპებსა და მწერებზე;

გ) მწერების კოლექციაზე, დაავადებების გამომწვევეებსა და ნიმუშებზე, აგრეთვე ჰერბარიუმებსა და თესვების კოლექციაზე;

დ) საქართველოში შემოსულ სატრანსპორტო საშუალებებზე;

ე) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებზე, ტარასა და შესაფუთ საშუალებებზე;

ვ) იმ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ტერიტორიებსა და შენობებზე, რომლებიც ამზადებენ, ამუშავებენ, ინახავენ მცენარეულ პროდუქტებს და ახორციელებენ მათ რეალიზაციას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და სატყეო სავარგულზე, საკარმიდამო და სააგარაკო ნაკვეთებსა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე.

+

#### მუხლი 55. ვეტერინარული კარანტინისა და მცენარეთა კარანტინის დაწესება და მოხსნა

საქართველოს ტერიტორიაზე ვეტერინარული კარანტინი და მცენარეთა კარანტინი, გარდა ამ კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული პროფილაქტიკური კარანტინისა, წესდება და იხსნება სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე :

ა) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ;

ბ) ერთზე მეტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე – ამ თვითმმართველ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ან საქართველოს მთავრობის მიერ.

+

#### მუხლი 56. შიდასაკარანტინო ღონისძიებები

1. საკარანტინო ობიექტის აღმოჩენისას განსაზღვრული ტერიტორია ცხადდება საკარანტინო ზონად.

2. საკარანტინო ზონის ტერიტორიაზე იზღუდება სატრანსპორტო საშუალებების შესვლა-გამოსვლა; აკრძალულია კარანტინისადმი დაქვემდებარებული პროდუქტის შეტანა-გამოტანა; ამასთანავე, ადგილზე ხდება მისი გაუსნებოვნება, ტექნიკური გადამუშავება ან განადგურება სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

3. საკარანტინო ზონიდან უნებართვოდ გამოტანილი, კარანტინისადმი დაქვემდებარებული პროდუქტი უნდა დაბრუნდეს, ჩამორთმეულ იქნეს და გადაეცეს შესაბამის სავაჭრო-გადამამუშავებელ საწარმოს ან განადგურდეს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

+

#### **მუხლი 58. უფლებამოსილი პირის ქვევის ზოგადი წესის მიზანი და მოქმედების სფერო**

1. უფლებამოსილი პირის ქვევის ზოგადი წესის მიზანია უფლებამოსილი პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას მისი ქვევის მომწესრიგებელი ზოგადი პრინციპების დამკვიდრება.
2. უფლებამოსილ პირთა ცალკეული კატეგორიისათვის, ამ თავით დადგენილი ქვევის ზოგადი წესის დაცვით, შეიძლება მოქმედებდეს ქვევის სპეციალური წესი.
3. სააგენტოსა და საინსპექციო ორგანოს ხელმძღვანელები ვალდებული არიან, უზრუნველყონ უფლებამოსილი პირის ქვევის ზოგადი წესის ხელმისაწვდომობა და გაცნობა მათდამი დაქვემდებარებული უფლებამოსილი პირებისათვის.
4. უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაიცვას ქვევის ზოგადი წესი.

#### **მუხლი 60. უფლებამოსილი პირის მოვალეობები**

1. უფლებამოსილი პირი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
  - ა) დროულად და სრულად უზრუნველყოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის უზრუნველსაყოფად;
  - ბ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, ამ კოდექსის მოთხოვნები;
  - გ) სამსახურებრივი უფლებამოსილება და სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობა, სიმბოლოები და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები გამოიყენოს კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის და არა რაიმე უპირატესობის მოსაპოვებლად;
  - დ) თავიდან აიცილოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს პირადად მის ან მისი სამსახურის რეპუტაციას;
  - ე) სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს მიცემული ინსტრუქციების შესაბამისად.
2. უფლებამოსილი პირი, ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოვალეობების შესრულებისას, სათანადო ქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის თხოვნის საფუძველზე წარადგენს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელ მოწმობას.

+

### მუხლი 62. ინტერესთა კონფლიქტი

1. უფლებამოსილი პირი დაინტერესებული მხარეებისაგან დამოუკიდებელია პროფესიულ საქმიანობაში, შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებაში.
2. უფლებამოსილი პირს არ უნდა ჰქონდეს სხვა საქმიანი ურთიერთობა იმ ბიზნესოპერატორთან, რომელიც ინსპექტირებას ახორციელებს. საინსპექციო ორგანოს ხელმძღვანელს და ბიზნესოპერატორის ხელმძღვანელს ან წამომადგენლობაზე უფლებამოსილი პირს არ შეიძლება ჰქონდეთ საერთო ეკონომიკური ინტერესი.
3. უფლებამოსილი პირი არ უნდა ახორციელებდეს სხვა ისეთ საქმიანობას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის იგადაწყვეტილებს და დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობაზე.

+

+

### მუხლი 63. პასუხისმგებლობის საფუძვლები

1. პირის პასუხისმგებლობა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება ამ თავითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.
2. ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნის დარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლება აქვს სააგენტოს უფლებამოსილ პირს.
3. ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნის დარღვევაზე სამართალდამრღვევს სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.
4. ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითარის ფორმას, მისი შევსებისა და წარდგენის წესს ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

5. ინსპექტირებისას არაკრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში ბიზნესოპერატორი ჯარიმდება ამ კოდექსის მხოლოდ 68-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო კრიტიკული შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში – ამ კოდექსის მხოლოდ 69-ე მუხლის საფუძველზე.

+

მუხლი 64. პირის საქმიანობა ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე

ამ კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად პირის საქმიანობა ბიზნესოპერატორად რეგისტრაციის გარეშე – გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

+

მუხლი 65. ბიზნესოპერატორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა მავნე სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსების აღსაკვეთად ან ბაზრიდან გამოთხოვასთან დაკავშირებით

1. ამ კოდექსის მე-14 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბიზნესოპერატორის მიერ მავნე სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება ან ვალდებულების შეუსრულებლობა ბაზარზე უკვე განთავსებული მავნე სურსათის/ცხოველის საკვების გამოთხოვასთან დაკავშირებით –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. ამ კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბიზნესოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული მავნე სურსათის/ცხოველის საკვების გამოთხოვასთან და ამ მიზნით მიღებულ ზომებთან დაკავშირებით სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინებისთვის თავის არიდება –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

3. ამ კოდექსის 39-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი საფრთხის შემცველი პროდუქტის ბაზრიდან დაუყოვნებლივ გამოთხოვასთან დაკავშირებით სააგენტოს მოთხოვნის შეუსრულებლობა –

გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

+

მუხლი 66. მითითებების, ვალდებულებებისა და გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა ცხოველის ჯანმრთელობისა და მცენარის მავნე ორგანიზმებისაგან დაცვასთან დაკავშირებით

1. ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტოს მითითებების შეუსრულებლობა ეპიზოტის საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად, ასევე მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების თავიდან ასაცილებლად –

გამოიწვევს ოჯახური წარმოების სუბიექტის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო ბიზნესოპერატორისას – 300 ლარის ოდენობით.

2. ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცხოველის დაკვლა მისი რეალიზაციის მიზნით, ვეტერინარული ზედამხედველობის გარეშე –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

3. ვეტერინარული კარანტინისა და მცენარეთა კარანტინის ფარგლებში უფლებამოსილი ორგანოების გადაწყვეტილებებისა და მითითებების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ოჯახური წარმოების სუბიექტის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო ბიზნესოპერატორისას – 500 ლარის ოდენობით.

+

#### **მუხლი 68. ბიზნესოპერატორის მიერ რეკომენდაციების შეუსრულებლობა არაკრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში**

არაკრიტიკული შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გაცემული რეკომენდაციების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით, ხოლო ამ კოდექსის 34-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გონივრული ვადის გასვლის შემდეგ – 1 200 ლარის ოდენობით.

+

#### **მუხლი 69. კრიტიკული შეუსაბამობის არსებობა**

ამ კოდექსის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში კრიტიკული შეუსაბამობის არსებობა –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

#### **მუხლი 70. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის ხელის შეშლა**

სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ პირთან თანამშრომლობაზე უარის თქმა ან უფლებამოსილების განხორციელებისას მისთვის ხელის სხვაგვარად შეშლა, მათ შორის, ამ კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე დოკუმენტური შემოწმების ფარგლებში უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების მიუწოდებლობა, –

გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

+

მუხლი 72. საინსპექციო ორგანოსა და ვეტერინარი ექიმის მიერ საქმიანობის დაწყება ან შეწყვეტა სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინების გარეშე

საინსპექციო ორგანოსა და ვეტერინარი ექიმის მიერ საქმიანობის დაწყება ან შეწყვეტა სააგენტოსთვის სავალდებულო შეტყობინების გარეშე –

გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

+

მუხლი 73. ვეტერინარი ექიმის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება

ვეტერინარი ექიმის მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება –

გამოიწვევს ვეტერინარი ექიმის დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

+

მუხლი 74. უფლებამოსილი პირის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება და ინტერესთა შეუთავსებლობის მოთხოვნების დარღვევა

1. საინსპექციო ორგანოს უფლებამოსილი პირის, ვეტერინარი ექიმის ან ვეტერინარი ტექნიკოსის მიერ ამ კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გამჟღავნება ან ამ კოდექსის 62-ე მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა შეუთავსებლობის მოთხოვნების დარღვევა –

გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი სააგენტოს თანამშრომლის მიერ, გახდება მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

მუხლი 74<sup>1</sup>. სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა

1. სურსათის/ცხოველის საკვების ეტიკეტირების წესის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 400 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით 1 წლის განმავლობაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1200 ლარის ოდენობით.

+

#### მუხლი 75. გარდამავალი დებულებანი

1. საქართველოს მთავრობამ ამ კოდექსის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული ნორმატიული აქტების ამ კოდექსთან შესაბამისობა და მათი სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარება.

2. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

3. ამ კოდექსის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში საქართველოს მთავრობამ მიიღოს:

ა) „ბიოწარმოების შესახებ“ დადგენილება;

ბ) „არაპროდუქტიული ცხოველების შესახებ“ დადგენილება.

4. ინსპექტირების დროს ამ კოდექსის მოთხოვნებთან მიკვლევადობის და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილი პირი გასცემს მხოლოდ რეკომენდაციებს მისი გამოსწორების მიზნით და აღნიშნული შეუსაბამობის აღმოჩენა არ იწვევს ამ კოდექსის 68-ე და 69-ე მუხლების თანახმად დაჯარიმებას 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

+

#### მუხლი 76. დასკვნითი დებულებანი

1. ამ კოდექსის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) საქართველოს 2005 წლის 27 დეკემბრის კანონი „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №4, 18.01.2006, მუხ. 30);

ბ) საქართველოს 1995 წლის 14 ივნისის კანონი „ვეტერინარიის შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994–1995, №№27–30, მუხ. 635);

გ) საქართველოს 1994 წლის 12 ოქტომბრის კანონი „მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №№21–22, მუხ. 450);

დ) საქართველოს 1997 წლის 15 მაისის კანონი „სასოფლო-სამეურნეო კარანტინის შესახებ“ (პარლამენტის უწყებანი, №23–24, 7 ივნისი, 1997, გვ. 12).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული ის ნორმატიული აქტები, რომელთა ამ კოდექსთან შესაბამისობა მისი ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში არ იქნება უზრუნველყოფილი.

3. ეს კოდექსი, გარდა ამ კოდექსის 38-ე მუხლის პირველი-მე-5 ნაწილებისა და 67-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

4. ამ კოდექსის 38-ე მუხლის პირველი-მე-5 ნაწილები ამოქმედდეს 2014 წლის 1 ივლისიდან.

5. ამ კოდექსის 67-ე მუხლი ამოქმედდეს 2014 წლის 31 დეკემბრიდან.